— გააკოტრებულმა ოპოზიციურმა სპექტრმა რა არჩევნები უნდა მოიგოს?! ჩემთვის ყოველად გაუგებარია, პრეზიდენტყოფილი, საერთაშორისო თაღლითი, სისხლის სამართლის დამნაშავე, პოსტიტალში ოროთახიან ლუქსში რატომ ცხოვრობს. „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ხელისუფლებას მიემართავ და კატეგორიულად მოვითხოვ: აღსრულდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და სააკაშვილის პრივილეგირებულ პატიმრობას წერტილი დაესვას. პატიმარმა სასჯელი ციხეში უნდა მოხადოს და არა „ვიკამედის“ ლუქსში. ზოგადად, ოპოზიცია რომ მკვდარია, სამწუხარო ფაქტია. ეს მმართველ პარტიას თითქოს კომფორტს უქმნის, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ოპონენტი არ გყავს, ვინც შეცდომასე არგუმენტირებულად მიგითითებს, სახელმწიფო სიფხიზლეს, აქტიურობის, განვითარების უნარს კარგავს. პროგრესი, განვითარება ჯან-

— თუკი ამ შედარებას გავყვებით, ყოველთვის მუსტანგის იმედზე კოვბოცი არ არის ხოლმე. მუსტანგის თვისება სწორედ ის არის, რომ გაუთვალისწინებელი ნაბიჯი, ნახტომი უნდა გააკეთოს. ამ გაუთვალისწინებელი ნახტომებით კი პოლიტიკაში საქმე არ კეთდება.

— ოპოზიციასთან ერთად მის ტელევიზიებსაც დაეტყო, რომ ხავსს ეჭვიდებიან. ყრილობაზე გასაკრიტიკებელი რომ ვერაფერი იპოვეს, დაითვალეს, დარბაზში ვიღაც კობახიძემ ბიძინა ივანიშვილი რამდენჯერ ახსენეს.

— გასაკვირი არაფერია იმაში, თუ „ქართული ოცნების“ ლიდერებმა მადლიერების ნიშნად პარტიის დამფუძნებელს მადლობა უთხრეს. საჩოთირო არაფერია იმაში, თუკი პრემიერობაზე წარდგენილი პირი რეკომენდატორს მადლობას ეტყვის. პირიქით, უმადურობა ყველაზე დიდი ცოდვია. ოპოზიციის რიტორიკას ერთ პატარა მომენტს დაუპირისპირებ და ყველაფერი

კანონმდებლობას — სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ კოდექსებს კარგად გადახედონ და ფერადი ქმედებას შესაბამისი მუხლები მოუძებნონ. პირველ რიგში, ადეკვატური რეაგირებისკენ მოვეწოდებ საქართველოს პროკურატურას.

— მაგანი ვეროკავშირის დროშის დაწვისთვის ექვსწლიან სასჯელს აპროტესტებს. შერჩევით სამართალზე საუბრობენ, ხუთ დღესა და ექვს წელს შორის დიდი სხვაობააო...

— ნებისმიერი დროშის დაწვისთვის პირადად მე ძალიან მკაცრ სასჯელს მოვითხოვ, მნიშვნელობა არ აქვს, ეს ექვსი წელი იქნება, ათი თუ თხუთმეტი. არათუ ვეროკავშირის, ნებისმიერი სახელმწიფოს სიმბოლიკის შეურაცხყოფა უდიდესი დანაშაულია და მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯოს, რა თქმა უნდა, გონივრულ ფარგლებში. არ ვიცი, ვინ მეთანხმება და ვინ — არა, მე სწორად ასე მიმაჩნია.

— ტერორიზმთან დაკავშირე-

პატიმარმა სასჯელი „ვიკამედის“ ლუქსში არ უნდა იხდიდეს!

საქართველოს კონსტიტუცია საკუთარი შეილივით დაბადა, გაზარდა და აღზარდა. მიმაჩნია, რომ კაცმა, რომელმაც საერთაშორისო მნიშვნელობის უნაკლო დოკუმენტის შექმნას შეუწყო ხელი, ქვეყნის მართვას უპრობლემოდ შეძლებს.

გავეცანი სამთავრობო პროგრამას — „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“. ირაკლი კობახიძემ წარადგინა პროგრამა, თუ რა მიმართულებით იმუშავენ მთავრობა არჩევნებამდე. ყველა პუნქტი გათვალისწინებულია, რითაც ქვეყანა არჩევნებამდე ღირსეულად უნდა მივიდეს. დარწმუნებული ვარ, არჩევნებში მმართველი ძალა კიდევ ერთხელ არამართო გაიმარჯვებს, არამედ საკონსტიტუციო უმრავლესობასაც მოიპოვებს. რა რეაქცია ექნებათ ამაზე ეგრეთ წოდებულ გაკოტრებულ ოპოზიციას და მათ პატრონებს, ძნელი მისახვედრი არ არის. დღეს ოპოზიციური პოლიტიკური ველი აბსოლუტურად მოცარეილებულია და ჭაპანის გაწევა მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ უწევს.

— ოპოზიცია ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლის მერე შოკიდან ვერ გამოდის. მიშამ დაიქაღნა, პოლიტიკაში ჩემს როლს გაავალიერებ და არჩევნებსაც მოვიგებო. კი აღნიშნეთ, ოპოზიცია გაკოტრებულიაო, მაგრამ როგორ შეაფა-

სად კონკურენციაში, ოპონირებაში იბადება. ამიტომ ვისურვებდი, გაჩნდეს პოლიტიკური ძალა, რომელიც მმართველ პარტიას ღირსეულ ოპონირებას გაუწევს. სამწუხაროა, ასეთი პოლიტიკური ძალის ჩანასახს დღეს ვერ ვხედავ. ნაციონალური კომიკურ პერსონაჟზე აღარ შეგჩერდები. არც მევახშეების ეგრეთ წოდებულ პარტიაზე მინდა ლაპარაკი, რომელთაც „ლელო“ დაირქვეს. ბიზნესმენმა ბიზნესს უნდა მიხედოს და პოლიტიკოსმა — პოლიტიკას. არ შეიძლება, ბანკირი ადგეს და ბანკის მთელი კოლექტივი პოლიტიკაში გადმოსხას.

პოლიტიკური რადარებიდან „რესპუბლიკური პარტია“ საერთოდ გაქრა. ასევე, გაქრა ყველა ფსევდოლიბერალური მოძრაობა, რომლებიც ლიბერალიზმის იდეასაც ღალატობენ, არცხვენენ კიდევ და წარმატება ვერც სხვა განზომილებაში მოიპოვეს. დიდი მწუხარებით ვამბობ, რომ რიგმა ინდივიდუალურმა პოლიტიკოსებმა საქართველოს პოლიტიკურ ველზე თავიანთი ქმედებებით, რიტორიკით, პოზიციონირებით საკუთარი თავი დაიზიანეს.

— მოკლედ რომ შევაჯამოთ, რადიკალების გეში იძირება? — ხაზარაძეს მუსტანგმა უმტყუნა, მიშას — ნერვებმა, კეზერაშვილს — ხაბეიშვილმა...

ნათელი გახდება: „საერთო გაზეთის“ მკითხველს ემანსოვრება, არჩევნების წინა პერიოდში საქართველოში სარკოზის ვიზიტი. მას, ბუშის მსგავსად, შეხვედრა თავისუფლების მოედანზე მოუწევს. საღამოს, პრეზიდენტის სასახლეში ოფიციალურ მიღებაზე კი, მაშინდელ პრეზიდენტ სააკაშვილს სარკოზისთან სასაუბროდ მისმა დედამ, მეუღლემ, ბებამ, უფროსმა ვაჟმა მიასწრეს. თუ პრეზიდენტთან შეხვედრაში, რასაც პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა, შეიძლება მონაწილეობა ოჯახის წევრებმაც მიიღონ, მაშინ რატომ არ შეიძლება, პოლიტიკური პარტიის ყრილობაზე ლიდერებმა მადლობა გადაუხადონ მის დამფუძნებელს, მთავარ სპონსორსა და წარმმართველ ძალას.

— ნატა ფერადის ხუთდღიან პატიმრობაზე რა მოსაზრება გაქვთ?

— საკმაოდ ცუდი. განა შეიძლება ნატა ფერადის საქციელის შესაბამისი სასჯელი ხუთდღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა იყოს?! ეს იმდენად მცირე ვადაა, რომ ქალბატონი ნატა ციხის კამერაში ახალგაკეთებული სვინების მოშუშებასაც ვერ მოასწრებს. მიმაჩნია, რომ ეს ძალიან უსამართლო სასჯელია. ქართველ იურისტებს მოვეწოდებ, საქართველოს

ბით ცრუ შეტყობინებისთვის ბეჭად ვარდოსანიძე დააპატიმრეს, მაგანი კი ის ივანიშვილის პოლიტიკატიმრად მონათლდა...

— ვარდოსანიძე კომიკური პერსონაჟია. ამ თემაზე კომენტარის გაკეთება, საერთოდ, სირცხვილია. იგი ნარცისიზმის უკიდურესი ფორმითაა შეპყრობილი. აქამდე მისი არსებობის შესახებ არც ვიცი. უბრალოდ, კომიკური კლოუნია.

— ევროკავშირის ელჩმა განაცხადა, თუ დემოკრატიულ არჩევნებს არ ჩაატარებთ, ევროკავშირთან მოლაპარაკებების გახსნაზე ფიქრი, დაივიწყეთო.

— საქართველოში, 2012 წლიდან მოყოლებული, ყველა არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა და ამაზე საერთაშორისო კომპეტენტურ, ღირსეულ, ავტორიტეტულ ორგანიზაციებს პროტესტი არ გამოუთქვამთ. დიახ, არჩევნების დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარებაში ეჭვი არავის შეუტანია. არჩევნების შედეგები ყველამ აღიარა. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დემოკრატიულად, გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს. წელს არჩევნები ელექტრონული სისტემით ტარდება, რასაც, როგორც სისტემის ტექნიკოსი ინჟინერი, მივესალმები. ეს პროგრესი, წინგადგმული ნაბიჯი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ევროკავშირის ელჩის მოვალეობა არ არის, შეაფასოს, დემოკრატიულად ჩატარდა თუ არა არჩევნები. ჯერ ერთი, არ ვიცი, ელჩები რატომ იღებენ საკუთარ თავზე იმ ფუნქციას, რაც მათ საქმიანობაში არ შედის. ელჩის ფუნქციას ვენის კონვენცია განსაზღვრავს, მაგრამ დღეს ყოველგვარი ლოგიკა, საერთაშორისო კანონმდებლობა, საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკა დარღვეულია. პლანეტა ტურბულენტურ მდგომარეობაშია. ასე რომ, გასაკვირი აღარაფერია.



გალაშქრება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების წინააღმდეგ, ჩვენს იდენტობასა და რწმენას უპირისპირდება



- ბატონო საბა, ევროპისკენ მიმავალ გზას დაგადექით. შეესაბამება თუ არა ჩვენი განათლების სისტემა ევროპული განათლების დონეს და რას ვთავაზობთ ამ გზაზე მომავალ თაობას?

- როგორ გვესმის ევროპა, ევროპული განათლება, ევროპული კულტურა... ამას ბევრი განსაზღვრება აქვს, მაგრამ მათ შორის ერთ-ერთი მთავარია ის, რომ „ევროპულობა“ ნიშნავს სამშობლოს გაცნობიერებულ სიყვარულს! სხვა მრავალ განმარტებასთან ერთად, სიყვარული, უპირველეს ყოვლისა, არის ცოდნა. ასეა პირად ურთიერთობებში და ზოგადადაც, მე შენ შესახებ უნდა ვიცოდე ბევრი რამ და - სრულყოფილად. სამშობლოს გაცნობიერებული სიყვარული ნიშნავს, კარგად იცოდე შენი სამშობლოს ისტორია და კულტურა. ცოდნამ დღეს სხვა ღირებულება შეიძინა და ის ჩვენ მხოლოდ ინფორმაცია გვგონია. თუმცა, „გუგლი“ და ინტერნეტი წინიერებას ვერასდროს ჩანაცვლებს. ლოგიკის ნებისმიერ სახელმძღვანელოშია განმარტებული, რომ ცოდნა არის საგნისა და მოვლენის შინაგანი კავშირების, კანონზომიერების სრულფასოვანი გააზრება.

დიდი ხანია, სკოლასთან კავშირი აღარ მაქვს, მაგრამ საუნივერსიტეტო საქმიანობა თავისთავად გულისხმობს სკოლიდან მოსულ თაობასთან კონტაქტს. ამიტომ შემძლია გითხრათ, რომ სკოლებში ძალიან მძიმე მდგომარეობაა. თანამედროვე ქართული სკოლა თაობას მინიმალურ ქრესტომათიულ ცოდნასაც ვერ აძლევს.

რატომ? - ამას ძალიან ბევრი განმარტებელი ფაქტორი აქვს. დასაწყისში უნდა განვსაზღვროთ, რა არის ქართული სკოლის მიზანი? როგორი „პროდუქტი“ უნდა მივიღოთ 12 წლის შემდეგ, ვის ვზრდით სკოლაში?

როცა სკოლაში ვმუშაობდი, გაცნობიერებული მქონდა, რომ უნდა აღმეზარდა თავისუფალი მოქალაქე. თავისუფლება არის ღვთისგან ბოძებული განძი, მაგრამ თავისუფლება ყველაფრის უფლება და „მინდას“ ტყვეობაში ყოფნა კი არა, არამედ სრულყოფილებისკენ სწრაფვაა! თავისუფალი პიროვნება უნდა იყოს ის, ვინც 21-ე საუკუნის საქართვე-

მას შემდეგ, რაც განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის კონსულტანტმა გია მურდულიამ სკოლებში პროგრამით გათვალისწინებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სავარაუდო შემცირებაზე ისაუბრა, საზოგადოებრივი აზრი გაიფო. უმეტესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნაწარმოებების შემცირება და მით უფრო, პროგრამიდან ამოღება, დაუშვებელია, თუმცა სწავლების მეთოდები შესაცვლელია; ნაწილს კი მიაჩნია, რომ მოზარდი მსგავსი სირთულის ტექსტს ვერ აღიქ-

ლოს შექმნის. როცა ცოდნა გაქვს - თავისუფალი ხარ! რაღაცას რომ გკითხავენ, პასუხი სხვაგან კი არ უნდა გაგიხდეს საძებარი, - ეს შენ უნდა იცოდე. უნდა გავაცნობიეროთ, რომ სკოლას აქვს ძალიან დიდი მისია - მან ეროვნული ცნობიერების მქონე თავისუფალი პიროვნება უნდა აღზარდოს!

- გეთანხმებით, „თავისუფლება“ მისი შინაარსის გათვალისწინებით არ არის აღქმული, და მაინც, რა არის მიზეზი, რის გამოც რთულია, მოზარდს ეროვნული ცნობიერება ჩამოეყალიბო?

- მოზარდის პიროვნებად ჩამოყალიბების გზაზე დიდი სირთულეებია. პირველი დიდი გამოწვევა არის თანამედროვე ტექნოკრატია - ციფრული ტექნოლოგიები, რომელმაც მაქსიმალურად შეუწყო თაობებს ხელი, მოსწყდნენ წიგნს. გარდა ამისა, თანამედროვე ოჯახში ვექტორები შეიცვალა, ოჯახის მარჩენალის ფუნქცია, უმრავლეს შემთხვევაში, დედამ იკისრა. ის გადაგებულია ოჯახს და შვილისთვის დრო აღარ რჩება. ბავშვი იზრდება რთულ გარემოში, სადაც არც ოჯახში, არც სხვა გარემოში არ არის მოთხოვნა წიგნსა და წიგნიერებაზე. ყველაფერი უწყობს ხელს თაობას, რომ იყოს ზედაპირული, არ იყოს წიგნიერი და, როცა ცოდნა არა გაქვს, შესაბამისად, არ გაქვს კრიტიკული აზროვნების უნარი. ლიტერატურამ სკოლაში უნდა აღზარდოს კარგი მკითხველი. ამით ის, რა თქმა უნდა, თაობებს ქართულ იდენტობას უნარჩუნებს. ჩვენი იდენტობის ყველაზე ვალიდური ინდიკატორია ლიტერატურა, რომელიც ავითარებს სულიერ კულტურას და აყალიბებს მხატვრულ გემოვნებას. ჩვენი ვალია, გემოვნებიანი მკითხველი აღვზარდოთ. ამიტომ არის პრობლემა კომპლექსური და რთულად მოსაგვარებელი.

- მაინც, როდის დაშორდა წიგნს მოზარდი? არ ფიქრობთ, რომ უფროსი თაობა უკეთესი „მკითხველი“ ვიყავით?

- წიგნის მკითხველი ყოველთვის, ყოველ დროსა და ეპოქაში დიდი იშვიათობა იყო. ჩემს ბავშვობაში თითქმის ყველა ოჯახს ჰქონდა თაროზე შემოწვობილი ენციკლოპედიები, მუყაოს ყდინი გამოცემები ფერების მიხედვით, მაგრამ ჩემი მშობლების თაობა მაინც პრესის მკითხველი უფრო იყო და უყურებდა იმ ერთადერთ სატელევიზიო არხს, რომელიც

მაშინ არსებობდა. წიგნს ცოტათუ კითხულობდა. თუმცა, უფროსთაობას ესმოდა, რომ წიგნი არის დიდი მეგობარი ცხოვრების რთულ გზაზე და ის აუცილებელია მოზარდის განვითარებისთვის. ახლა ეს ინტენციაც მოშლილია. მომავალი თაობა იზრდება კონკრეტულ მაგალითზე. მოკრძალებით, მაგრამ მაინც ვეუბნებოდი ჩემი მოსწავლეების მშობლებს, რომ ბავშვი უნდა ხედავდეს მაგალითს ოჯახთან ურთიერთობის დროს. შვილს რომ ეტყვი, დაჯექი,



„ვეფხისტყაოსანი“ წაიკითხო და თავად სერიალს უყურებ, ერთხელ, მეორედ და მუდმივად... ის ბავშვი ვერ განმარტოვდება წიგნთან, რადგან მან ვერ მიიღო ცოცხალი, კონკრეტული მაგალითი მშობლისგან... ასე რომ, ბევრი პრობლემა იყრის თავს!

- „ევროპულობა“, გაუცნობიერებლად, ეროვნულ იდენტობას ხომ არ ებრძვის?

- შეუძლებელია! ევროპისთვის და დანარჩენი სამყაროსთვის საინტერესო ვართ მხოლოდ ჩვენი კულტურით, ჩვენი სულიერი პროფილით, იმით, რაც საქართველოს მათგან განასხვავებს! მათ აინტერესებთ ჩვენი ინდივიდუალობა. ევროპის დიდ ოჯახს რით მოხიბლავს, რით გააკვირვებს ეს მცირეერი?! ეკონომიკით? ტექნიკით? - ვერა! - თავისი კულტურით, მრავალსაუკუნოვანი ლიტერატურითა და ისტორიით!

არ ვიზიარებ, როცა ამბობენ, რომ ევროპის გზაზე მიმავალი ერი ვართ, რადგან ისტორიულად ყოველთვის ევროპული კულ-

ვამს და სჯობს, თუ მას ამ „ტივითს“ შევუმსუბუქებთ.

რატომ არის საჭირო, აუცილებელი და მნიშვნელოვანი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლება სკოლაში, რა ძირითად მოთხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს მშობლიური ლიტერატურის სწავლების პრინციპი და რა არის ის „მიუტევებელი ცოდვა“, რომელიც ქართულმა სკოლამ წამოიკიდა?! - გვესაუბრება ქართული ჰაგიოგრაფიის მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი საბა მმტრეპელი.

ტურის ნაწილი იყო საქართველო. ჩვენი კულტურა ბიზანტიური კულტურის გვერდით, მათთან თანასწორად ვაღიბდებოდა. ჩვენ ახლა შინ ვბრუნდებით.

ნიცშეს მიხედვით, ევროპელობა ნიშნავს კონტაქტს ანტიკურ კულტურასთან, ქრისტიანობასა და ბიბლიასთან... გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა არა აქვს. რომელი ორიენტირი განსაზღვრავს ქვეყნის კულტურას, ისტორიას და ლიტერატურას - ეს არის მნიშვნელოვანი. ევრო-

პეოპული რეჟიმის „მკედრად შობილმა“ განათლების მინისტრმა ალექსანდრე ლომიაამ წამოაყენა ეს „ინოვაციური ინიციატივა“. მან თქვა, რომ ჰაგიოგრაფია არის „მკედარი ტექსტი“ და მისი სწავლება სკოლაში კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. როდესაც უტყვეფუნდამენტურ, მარადიულ ფასეულობებს და საფუძველს აცლი ღირებულებით სისტემას, ფაქტობრივად, მომავალს ანადგურებ. ნებისმიერი ტექსტი, ჰაგიოგრაფიული იქნება ეს თუ შემდომი პერიოდისა,

პულ ოჯახთან დაახლოება არის ჩვენთვის „შინ დაბრუნება“. შინ მისვლამდე კი გზაში ვართ და ამ მდგომარეობამ ბევრ რამეზე უნდა დაგვაფიქროს. უნდა გავიზაროთ ამ დიდ ოჯახში ჩვენი ადგილი, როლი და მნიშვნელობა.

- ახლანაჲ წამოწიეს საკითხი, რომ ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებების სწავლებას, შესაძლოა, ნაკლები დრო დაეთმოს. როგორც გია მურდულიამ განაცხადა, „სკოლაში ყველაფერი კი არ უნდა ასწავლო, უნდა ასწავლო იმდენი, რაც ბავშვის განვითარებისთვისაა საჭირო“...

- ეს საკითხი პირდაპირ უკავშირდება შემეცნების კრიზისს, რომელიც მენტალობის კრიზისთანაა გადაჯაჭვული. დიდი ხანია, უტყვევ ქართულ ჰაგიოგრაფიას თავისი არსით, სპეციფიკით, პრინციპებით ჰაგიოგრაფია არის სასულიერო, საეკლესიო მწერლობის დარგი, დასაწყისი ქართული მწერლობისა და ამ მოცემულობას, რეალობას ვერაფერ შეცვლის!

პირველად სააკაშვილის ნეობ-

- მკედარია მანამ, სანამ შენში არ გააცოცხლებ.

ჰაგიოგრაფია საეკლესიო მწერლობაა, ეს არ არის წმინდა სახის მხატვრული ლიტერატურა, რადგან მწერლობა აუცილებლად გულისხმობს მხატვრულ გამოწვინებას და ფანტაზიას, ჰაგიოგრაფია კი გუბუნება, რომ არის „ჭეშმარიტი და უტყვევი“, რომ გამოწვინი და შეთხზული არ არის. ის ეფუძნება კონკრეტულსა და რეალურ ფაქტს და კი არ გატყუებს, არამედ, გიყვება ნამდვილსა და ჭეშმარიტს. ქრისტიანული ხელოვნება ჩვეულებრივი ხელოვნებისგან ისე განსხვავდება, როგორც გალობა სიმღერისაგან, ხატი - ნახატისაგან, ხუროთმოძღვრება - არქიტექტურისაგან. ხატს რომ უყურებ, ლოცვა გინდება; ეკლესიას რომ უყურებ - ლოცვად განწყობი. ასე განსხვავდება ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებიც მხატვრული ლიტერატურისგან. რელიგიას, რწმენას, წმინდანთა ცხოვრებას გადაჰყვხარ აბსოლუტურად ახალ განზომილებაში, სულიერ ცხოვრებაში.

ეკლესიამ შემოგვინახა დამწერლობაც და კულტურაც. რწმენა უნათებდა ქართველ კაცს გზას და აძლევდა ძალას ისტორიული განსაცდელის უამს.

ჰაგიოგრაფია სულის ხსნის ხელოვნებაა, ჭეშმარიტების ძიების, მშვენიერისა და ამაღლებულის საფუძველია. ჰაგიოგრაფია ასწავლის მომავალ თაობას სიყვარულსა და ერთგულებას; ცოცხალ და კონკრეტულ მაგალითს აძლევს სამშობლოსა და მოყვასის მსახურებისას. ჰაგიოგრაფია გვეუბნება, რომ სიყვარული ნიშნავს თავგანწირვას. ამიტომაც ეწამნენ ასე უდრეკად და შეურყეველად ქრისტეს სიყვარულისთვის მისი გმირები. არ ვასწავლოთ კი არა, კარგად უნდა ვასწავლოთ, მეტი დრო უნდა დავუთმოთ, მეტი ფიქრისა და განსჯის შესაძლებლობა მივცეთ ახალგაზრდობას.

ჰაგიოგრაფიის სასკოლო პროგრამიდან ამოღებზე არ არის საუბარი და ამას ვერც ვერაფერს შეძლებს. ახლა კამათი იმაზე დაიწყო, რომ სასკოლო პროგრამაში შეიძლება შემცირდეს ჰაგიოგრაფიული ტექსტების რაოდენობა. კარგად დავაკვირდეთ, რა ფარულ რისკებს შეიცავს ასეთი ლოგიკა: დღეს ვიტყვით, რომ ჰაგიოგრაფიული ტექსტები შევამციროთ, რადგან თაობა ვერ ართმევს თავს. რამდენიმე წელწადში შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი ტექსტია და რა საჭიროა. მოდი, ესეც შევამოკლოთ (ან პროზად ვასწავლოთ, მხოლოდ შინაარსი უნაშობო)! შემდეგ გადასწვდებიან „ჯაფარიანის ხეობას“, „დიდოსტატის მარჯვენას“ - ესენიც დიდი... და რა საჭიროა?! ჩვენ კომუნისტურ ეპოქაში ვისწავლეთ ჰაგიოგრაფიული ტექსტები. როგორ ვისწავლეთ, სხვა საკითხია, რადგან მაშინ რწმენასა და ეკლესიას რეჟიმი დევნიდა, მაგრამ რა ხდებოდა ამ თხზულებებში, ამის გააზრება და წარმოდგენა მაინც შეგვეძლო.

ახლა სხვა გამოწვევების წინაშე ვდგავართ და ჰაგიოგრაფიულ ტექსტებსაც სხვანაირი მიდგომა, სხვანაირი სწავლება სჭირდება. ფსიქოლოგიური ინერციით ჩვენ ისე ვამბობთ შუშანიკი, აბო, გრიგოლი, თითქოს ისინი ჩვენი გარე ბიძაშვილები იყვნენ და არა - ეკლესიის წმინდანები! ჰაგიოგრაფია ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხილთა დეაქონს ასახავს და არ უნდა ვიკადროთ წმინდანების ასე მოხსენიება! არც ის მიმართა მართებულად, რომ ბავშვს „შუშანიკის დახასიათება“ მისცე დასაწერად. წმინდანის დახასიათებას შენ არავინ გეკითხება! ჰაგიოგრაფიაში მნიშვნელოვანი სულისა და ხორცის ჭიდილია, რას თმობს წმინდანი ამა სოფლიდან, როგორ შემოაქვს ჰაგიოგრაფს მარადიული ღირებულებები, როგორ გინევენებს გზას სრულყოფილებისკენ. ჰაგიოგრაფია რელიგიის, სულიერების კონტექსტში უნდა მიაწოდო ბავშვს და უნდა უთხრა, თუ რატომ არის აქტუალური დღესაც, ამდენი საუკუნის შემდეგ თუნდაც ქვემო ქართლის ერთ ოჯახში დატრიალებული დრამა - წმინდა შუშანიკის წამება. სკოლამ კრიტიკული აზროვნება უნდა განუვითაროს მოზარდს და ერთად ფიქრით, დიალოგის, თანამაზრეობის

პრინციპის დაცვით ახალი პორიზონტები გაუხსნას.

ეს ყველაფერი ხელახლა არის გასააზრებელი, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ ჰაგიოგრაფია იმ ასაკში ისწავლებოდეს, რომელშიც ახლა ასწავლიან. ზოგჯერ მეათეკლასელი ასეთ რთულ ტექსტს ვერ აღიქვამს, ბევრ რამეს ვერ იგებს სწორად და სასაცილოდ არ ჰყოფნის. ჩვენ რომ ნორმალური განათლების სისტემა გვქონდეს, ჰაგიოგრაფია უნდა ისწავლებოდეს დამამთავრებელ კლასში (მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურის ისტორიის პრინციპი ამით დაირღვევა). თუმცა, მე-12 კლასში სასწავლო პროცესი ამჟამად, ფაქტობრივად, გაუქმებულია და გამოდის, რომ ძველ ქართულ მწერლობას გავწირავთ. ამაზე დაფიქრება, კამათი, მსჯელობა ღირს.

მიუხედავად მწვავე კონტექსტისა, მაინც კარგია, რომ შიგადაშიგ ასე აქტუალური ხდება ქართულ ჰაგიოგრაფიაზე საუბარი. ეს უკვე მის ღირებულებებზე მიგვაზიარებს.

გალაშქრება ჰაგიოგრაფიული ტექსტების წინააღმდეგ, არის ბრძოლა ჩვენი იდენტობის, ჩვენი რწმენის წინააღმდეგ. ქრისტეანობამ თავისი არსებობის დასაწყისიდანვე სასტიკი დევნილობა გადაიტანა, რაც მეოცე საუკუნეში აგრესიული სეკულარიზმით, დამანგრეველი ბოლშევიკური ღვთისმებრძოლობით გაგრძელდა, მაგრამ ვერ შეარყიეს მისი საფუძვლები. დემოკრატია ბრძოლა, რწმენასთან ომი არავის მოუგია და ბუნებრივად, ეს განზრახვაც იმთავითვე დამარცხებისთვისაა განწირული.

შობლიური ენის ცოდნა პირდაპირ უკავშირდება ამ ენაზე დაწერილ ლიტერატურას. ჩვენ ტექსტის კითხვის ეპოქაში უნდა შევავსოთ და, მათ შორის, ძველ ქართულ ტექსტებს კარგად უნდა გავეცნოთ, რათა გზა არ დაგკარგოთ, თორემ ვინც გზას კარგავს, კარგავს საკუთარ თავს!

ლექსის სწავლა რომ დავავალით მოსწავლეს, ლამის დანაშაულად გვითვლიანო, თქვენ წერდით და მეც გეთანხმებით. დასაზეპირებელი ტექსტი სკოლაში, ფაქტობრივად, აღარ არსებობს, მათ შორის ლექსი...

ეს არის ქართული სკოლის დანაშაული. კარგა ხანია, სკოლაში სწავლება მხოლოდ ეროვნული გამოცდების მოთხოვნებზეა გათვლილი. თუმცა, მისაღებ გამოცდებს სხვა ფუნქცია და სხვა



დანიშნულება აქვს. იქ შეიძლება მარტო „ვეფხისტყაოსანი“ შევიტანო პროგრამაში და ამით მივზღვე, რა უნარები აქვს აბიტურიენტს, როგორ შეუძლია წერა და აზროვნება. არ შეიძლება სკოლა ორიენტირებული იყოს მისაღები გამოცდების სპეციფიკაზე. ეს არის აზროვნების კრახი, რადგან ეროვნული გამოცდები არ მოითხოვს ქრესტომათიულ ცოდნას. იქ ქართველიც და არაქართველიც ქართულ ენასა და ლიტერატურაში ერთ პროგრამას აბარებს და ტექსტი, რომლის შესახებაც უნდა იმსჯელონ, წინ უდევთ. ამის გამო, სკოლამ გაიმარტივა საქმე და გალაკტიონის სამშობლოში, რუსთაველის სამშობლოში... ლექსის ზეპირად სწავლაზე თქვა უარი. ლიტერატურაში არაა დომინანტური შინაარსი. ამ გაგებით „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი ძალიან მარტივია. მასში მთავარია არა ფაბულა, არამედ თხზვის, ამბის გადმოცემის ხელოვნება, ესთეტიკა და მსოფლმხედველობა. როგორ უნდა გავმოვიცე „ლურჯა ცხენების“ შინაარსი?! ლექსი ცოცხლად ინახავს კლასიკურ მწერლობას მომავალ თაობაში. ციტატა აუცილებელი ფაქტორია ბავშვის ლექსიკური მარაგის გამდიდრებისთვის. ლექსის ცოდნა ავითარებს მახსოვრობას და აყალიბებს ეროვნულ ცნობიერებას.

ამხსნას ვინმემ, როგორ უნდა ისაუბრო ლექსის შესახებ ისე, როცა ერთი სტროფი, ერთი ტაქტიც არ იცი ამ ლექსიდან? გალაკტიონის „მთაწმინდის მთვარეზე“ რას იტყვი, რომ მთაწმინდაზე ავიდა ავტორი და იქით აკაკის საფლავი დახვდა და აქეთ - ბარათაშვილისა?! ეს არის ლექსის ცოდნა?

დაზვიანებისა და დაზუთვის პრობანდას კი არ ვეწევი, მაგრამ უნივერსიტეტში სასწავლებლად მოსულმა თაობამ ერთი ლექსიც რომ არ იცის, ბარათაშვილის „მერანს“, აკაკის „განთიადს“ ან გალაკტიონის ერთ შედეგს რომ ვერ წაგიკითხავს, არ არის კატასტროფა?

მხატვრულ სიტყვაში გაცოცხლებულია იდეა, დრო, საგნის სული. ის არის ესთეტიკური ფაქტორი თავისუფლებისა. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი სიტყვით იწყება და სიტყვით მთავრდება. ციტატაზე უარის თქმა, ლექსის უგულვებელყოფა დიდი სახელომწიფო დანაშაული, მიუტევებელი ცოდვია. ყველაფერი დამოკიდებულია მასწავლებელზე. მას ვერაფერს აუკრძალავს, მომავალ თაობას ქართული ლირიკის შედეგები ასწავლოს.

რასაც ასწავლი - მოსთხოვე! ყველაზე დიდი პრობლემა სწორედ ის არის, რომ არ არის მოთხოვნა. შეიძლება კარგი მასწავლებელი ასწავლიდეს ბავშვს, გასაგებად უხსნიდეს, მაგრამ შემდეგ აღარ სთხოვდეს. სწავლა იძულების გარეშე არ არსებობს. უკომპრომისო უნდა იყო, თუ გინდა, რომ თაობებს ცოდნა გადასცე!

გურამიშვილის „სწავლა მოსწავლეთა“ გამახსენდა რატომღაც...

გურამიშვილი რასაც ამბობს, იმას, რა თქმა უნდა, თანამედროვე სკოლა და მიდგომები ვერ გაიზიარებს, მაგრამ შედეგს რა გზით მიაღწევ, მასწავლებელზეა დამოკიდებული. მკაცრად უნდა იდგე შენს პრინციპებზე და არაფერი დათმო, თან ეს ყოველგვარი კონფლიქტისა და გაუგებრობების

გარეშე უნდა მოახერხო.

თქვენ ამბობთ, რომ, მიუხედავად საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ მითხვენებისა, მასწავლებელს აქვს საშუალება, თავად აირჩიოს სწავლების მეთოდი. თუმცა, ახლა უკვე საუბარია იმაზე, რომ მოსწავლეს სახლში სამუშაოდ დავალებებიც არ უნდა მისცენ და ეჭვი მაქვს, არაერთი მოსწავლის მშობელი გამოჩნდება, რომელიც მასწავლებლის პირად ინიციატივებს შეწინააღმდეგება...

სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევებიც შეიძლება იყოს, მაგრამ, როდესაც მასწავლებელი საკითხს გააზრებულად დასვამს, როცა კლასის 90 პროცენტი აგვეება, ის 10 პროცენტი „ამინდს“ ვერ შექმნის. მშობლების დიდი იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს არ უნდა, ჰყავდეს ისეთი შვილი, რომელმაც არ იცის, მაგალითად, „სულიკო“ აკაკი წერეთლის ლექსია თუ რომელიმე თანამედროვე პოეტისა. რა სამარცხვინოა, რომ გალაკტიონის სამშობლოში ამაზე ვსაუბრობთ, საკუთარ ძირსა და ფესვებს ნუ მოვწყვეტთ თაობებს!

მაინც, რა ძირითად მითხოვნებს უნდა ეფუძნებოდეს მშობლიური ლიტერატურის სწავლების პრინციპი?

მასწავლებელი უნდა იყოს მაღალი კომპეტენციის, ბავშვსა და თავის საგანზე თავდავიწყებით შეგვარებული და, რაც მთავარია, სამართლიანი. ქართულ სკოლას სჭირდება ეროვნული ცნობიერების მქონე, სახელმწიფოებრივი აზროვნების პედაგოგი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო და შეუძლია, ეს სიყვარული გადასლოს მოსწავლეს! ანტიკური მჭევრმეტყველების მთავარი პრინციპი იყო - ასწავლე, მოაწონე და ააღილე - თუ ეს სამი ერთდროულად შეუძლია მასწავლებელს, მაშინ გაუმართლა თაობას, გაუმართლა სკოლას! მეორე და უმთავრესი - გენიოსიც რომ იყოს მასწავლებელი, თუ ის არ არის მომთხოვნი, დალუპავს თაობას, შედეგი ვერ დადგება. წერის კულტურა და კრიტიკული აზროვნების უნარი, მხატვრული გემოვნების ჩამოყალიბება და ლექსიკის გამდიდრება უნდა იყოს ძირითადი მითხოვნა ლიტერატურის სწავლებისას ქართულ სკოლაში.



ენა ერის სულის სარკეა



დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. „ნონფიქშინის“ სახელით ფენომოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი, საზოგადოებრივ ფენომოკიდებული იქნა. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, რაფიელ დანიბე-გაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული. „ნონფიქშინის“ ძირები იძებნება პლატონის დია-ლოგებსა და ჯუმბერ თითმერისა და ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტიკას მისდევს გური ოტობაიას მონუმენტური ხუთწიგნეული „შეუთავსებელთა შეთავსებაც“. ახალი რეპრეზენტაციის პირველი ავტორების, ბატონების — დავით შემოქმედელისა და გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო ინტერვიუ, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბასია ჩვენი ყოფიერების საჭირობოტო საკითხებზე. დაბოლოს, ფენომოკიდებული ყოფილიყოს ჩვენს პერი-ოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტიკის ტანდემური მართონული სტუმრანობა.

თამარ ბერძენიშვილი



დასაწყისი იხ. „სბ“ N2-3

— დავით, თქვენს ლექსებში ასეთი სიტყვები შემხვდა: გათე-მურაზ ხევისთავებული, მომგლი-ნაბიჯობს, გაიშხებობილა, გაგვი-ცუდლამდა, შეცრემილსველდა, გაიშხებანა, შეიმგლისფერებს... ეს თქვენი სიტყვათმემოქმედებაა; ეს სიტყვები წინასწარგამიზნუ-ლად იქმნება თუ სპონტანურად?... თქვენი აზრით, ისინი გაუძლებს დროს, დამკვიდრება ენაში?

— მესიტყვევებ პოეტური ალღოს საშუალებით უნდა მიაგნოს და წარმოაჩინოს ენაში პოეტური-

რის მექანიზმი ნორმირებულ ენაში დამკვიდრებულ სიტყვებთან, ასევე მწერლის ენობრივი თავისუფლე-ბის ხარისხი, თუ სად არის ზღვა-რი, რის შემდეგაც უკვე ენობრივ დაუდევრობასთან გვაქვს საქმე. თუ არ ვცდები, შესასწავლია ასევე სიტყვათქმნადობების მოლოდინე-ლობის ეფექტი და მხატვრული ფუნქცია. თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი: ჩემი აზრით, სასურვე-ლია ასევე კვლევის საგანი გახდეს (უფრო ინტენსიურად) ქართული კლასიკოსების როლი ქართული ენის ლექსიკური მარაგის გამდი-რებაში. აქ უნებურად გვასხენდე-

დამკვიდრდეს ენაში, თუმცა ამით მის მხატვრულ ეფექტს კონკრე-ტულ ნაწარმოებში არაფერი აკლ-დება. ახლად შერჩეული სიტყვა-თერთულებიდან მხოლოდ ძალ-ზე მცირედნი იმკვიდრებენ მშობ-ლიური ენის სიტყვიერ ქსოვილში ადგილს. ცხადია, ეს შეეხება ჩემ მიერ გამოყენებულ სიტყვებსაც... ვერაფერს გეტყვით, მათი ბედი სამსახურს მივანდოთ: პირუთ-ნელ ლიტერატურულ კრიტიკ-ას, გემოვნებიან მკითხველსა და დროს...

— ანა კალანდაძის მოსაზრე-ბით: „სათაური წერისას იბადება ხოლმე (ისევე, როგორც „უსათა-ურობა“) ... სათაურიც და უსათა-ურობაც იმისგან გვეძლევა, „რაიც შთაგონებით გეწყალობს“...

— დიან, სათაური იქნება თუ უსათაურობა (უბრალო სამი წერ-ტილი), ყოველივე ეს ლექსის შემადგენელი ნაწილია. პოეტე-ბი მას მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ. ხშირად მინახავს უგემოვნებოდ, არასწორად შერჩე-ული სათაური, რაც ლექსს ხეი-ბარსა ხდის, აგონჯებს. ყოფილა შემთხვევა, მოგვიანებით მიემხე-დარვარ, რომ შეემცდარვარ. ასე მოხდა ჩემი ერთტომეულის „სიტყ-ვებს მიღმა“ (2006 წ.)

გამოცემის დროს: აღმოჩნდა, რომ მანამდე დაბეჭდილი რამდენიმე ნაწარმოები ვერ იფერებდა სათაურს; მოვაშორე და ლექსე-ბი არტახებისგან გათავისუფლ-და, ხოლო ერთი ლექსი, პირიქით, დავასათაურე, „ქუდი დავხუ-რე“ და ასე გავუშვი მკითხველ-თან შესახვედრად. სჯობს პოეტს გამოქვეყნებული ლექსის ასეთი სახის კორექტირება არ დასჭირ-დეს...

— გალაკტიონის ეს მოწოდე-

ბაც გეხსოვება, რა თქმა უნდა... „დრო, დრო აღნიშნე და მიაწერე ეს წელიწადი, დღე და საათი“...

— გალაკტიონი გულისხმობდა, რომ მხატვრული ტექსტი არსე-ბული ეპოქის სარკე უნდა იყოს, დროის სულისკვეთებას ასახავ-დეს. ამას მხოლოდ სათქმელის თვალსაზრი-სით გულისხმობდა თუ ფორმითაც, ჩემთვის უცნო-ბია; ჩემი ვარაუდით, ორივეს. ამით იმასაც გულისხმობდა, რომ თუნ-დაც ისტორიულ თემზე იყოს შექ-მნილი ნაწარმოები, მაინც მასში მწერლის თანადროული ეპოქის სურათი უნდა იკითხებოდეს.

ლიტერატურათმცოდნე პრო-ფესორმა სოსო სიგუამ შენიშნა, რომ ჩემი ენობრივი სტილი სხვა იყო, როცა გურიაში ვცხოვრობ-დი, და შეიცვალა მას შემდეგ, რაც დედაქალაქში გადმოვედი საცხოვრებლად და უხეშ ურბა-ნიზში შევეჯახე. ისე კი, ენობ-რივ-სტილისტური თვალსაზრი-სით, მწერლის ენის ცვლილებაზე დაკვირვება და ანალიზი — ეგ თქვენი, ენათმეცნიერების, საქმეა და ვერ ჩავერევი. ზოგადად დრო-ისადმი ჩემი დამოკიდებულების შესახებ ვიტყვი თორიდე სიტყვას: მე, როგორც მწერალი, ვცხოვ-რობ ფიქრში, წამის უსწრაფესად მოვირბენ წარსულს, აწმყოსა და მომავალს. მე ერთდროულად სახელდაურქმევად სამივე დრო-ში ვცხოვრობ...

— მე კი, როგორც გრამატიკოსი, დროს „მარტივად“ ვუყუ-რებ: გუშინ, დღეს, ხვალ წარსუ-ლი, აწმყო და მომავალი... ვეღარ „გავითვალისწინე“, რომ პოეზი-აზე ვსაუბრობ და თანაც პოეტ-თან... შეიძლება მთლად არ ავც-დეთ თემას, ერთ რამეს გავიხსენებ დროსთან დაკავშირებით: ოთარ

ჩხეიძე წერს: „დროს არც წარ-სული აქვს, არცა მყოფადი, დრო აწმყოა. დრო არის, არის, არის... დრო ცვალებადი და მარადიული, უცვალბებელი და მარადიული“... ეს უკვე აღარაა რეალური დრო (როგორც გრამატიკოსები ვიტყ-ვით), გრამატიკული დრო...

— რაც შეეხება ოთარ ჩხეიძეს, როცა ის ამბობს, „დრო მარტო აწმყოა“, დასაფიქრებელია, ეს ფსიქოლოგიური დროა. უადრესად საინტერესოა დროისადმი მიმარ-თება მარსელ პრუსტთან. „დაკარ-გული დროის ძიებაში“ შედეგია. მასში იღუმალი კავშირებია გაბმუ-ლი წარსულსა და აწმყოს შორის.

როცა ლამბაქე კოვხის გაწკა-რუნების ხმა ესმის, პერსონაჟს ეს ხმა ბებიასთან მგზავრობის დროს მატარებლის შეკეთების ხმას ასხე-ნებს. ეს ნიშანი მას წარსულთან კავშირს გააბმევინებს. ჩაიკეტება და მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ წერა დაიწყო. ერთ მხარეს წერა, მეორე მხარეს — სხვა დანარ-ჩენი. მის სიცოცხლეს წერით ეძლე-ვა საზრისი. რომანში დრო ხელახ-ლაა ნაპოვნი, დრო დამარცხებუ-ლია. ნაპოვნი დრო ნაწარმოების მთავარი გმირია... საპირისპირო მაგალითიც ვიცი, როცა მწერ-ლისთვის დრო მხოლოდ მომავა-ლია. არის ასეთი აღიარებული მწერალი — ტატიანა ტოლსტაია, დიდი მწერლის, ალექსეი ტოლ-სტოის შვილიშვილი, რომელსაც ლიტერატურის კრიტიკოსები ხან აქებენ, ხან აძაგებენ. ის არავის აძლევს პასუხს. ჟურნალისტი ეკითხება, ნუთუ თქვენ მწერლური ამბიცია არა გაქვთ, რომ კრიტიკა-ზე არასდროს ხმას არ იღებთო?! ტატიანა ტოლსტაიამ უპასუხა: მე არა ამ წუთისოფლის, არამედ იმ წუთისოფლის ამბიცია მაქვსო.



რად არსებული სიანხის შემცვე-ლი სიტყვათერთულები თუ ბგე-რათნაერთები. მახსენდება საყუ-რადღებო გამონათქვამი: „პოეტი გამომგონებელი კი არ არის, პირ-ველადმოძრეხია ენაში არსებული შესაძლებლობისაო“ (ბესარიონ ჯორბენაძე). ამ საკითხზე ბევრი უფიქრიათ აღიარებულ ენათმეც-ნიერებს. სიტყვა მუდმივ ცვლი-ლებას განიცდის, არ არის სტა-ტიკური. ეფექტურად და გემოვნე-ბით მიღებული ახალი სიტყვების (კომპოზიტები, ნეოლოგიზმები, ოკაზიონიზმები) საშუალებით ენა ხდება უფრო მრავალფერო-ვანი, თანამედროვე და საინტე-რესო. ახალი სიტყვები, გარკვე-ულწილად, კავშირშია ლექსიკურ ფონდში გადანახულ საუკუნო-ვან სიტყვებთან. ვიცი, ნეოლო-გიზმები ორი სახისაა: უცხოური წარმოშობისა და ქართული ენის წიაღიდან წარმოქმნილი. ოკაზი-ონიზმები ხშირად მყისიერად იქმ-ნებიან კომუნიკაციის პერიოდში მწერლების მიერ გამოიზნულად, საგნის ან მოვლენის ესთეტიკურ-ემოციური მხარე რომ გაზარდონ. თავისთავად საინტერესოა, თუ როგორ მიმდინარეობს სიტყვათქ-მნადობის პროცესი; ვფიქრობ, საკ-ვლევი ახალი სიტყვების კავში-

ბა პოლ ვალერის გამონათქვამი: „გენიალური შემოქმედება წესს კი არ ემყარება, არამედ ქმნის“. ენა ცოცხალი პროცესია და ის მუდ-მივად გვთავაზობს ენის ნორმიდან გადახვევის კონოტაციური ფორ-მების მრავალნაირ სახეს. ოკაზი-ონიზმებზე პოეზიაში არცისე ბევრი გამოკვლევა არსებობს.

როცა მწერალი ცდილობს მშობლიური ენის გამდიდრებას ახალი ცნებებითა და სიტყვა-თა ორიგინალური ფორმებით, ეს მწერლის ძალმოსილებაზე მეტყ-ველებს. ჰაიდგერი ამბობს: „ის ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ, ხურდა ფულია, გაცვეთილი. ნამ-დვილ ენასთან კავშირს ინარჩუ-ნებენ დიდი მოაზროვნეები და პოეტები“. ახალი სიტყვის შექმ-ნა, შეიძლება, ახალი სიცოცხლის (ჩვილის) დაბადებას შევადაროთ. ახალი სიტყვათქმნადობები ჩემთან არ იქმნება წინასწარ განზრახუ-ლად, ის იბადება თხზვის პროცეს-ში, სტიქიურად, მისი რეალიზება ხდება სპონტანურად, არაცნობი-ერად. გემოვნებით შერჩეული ახა-ლი სიტყვა უმეტესად მხატვრულ ტექსტში ერთჯერადი მხატვრული ფუნქციის მატარებელია. ის შეიძ-ლება ეფექტურადც გამოიყენებო-დეს თავის ადგილას, მაგრამ არ



633

ამერიკის საზოგადოება ღებრადირებულია

რი, ალბათ, მაინც ის არის, როგორ დამთავრდება რუსეთ-უკრაინის ომი...

— ეს აშშ-ის გეოსტრატეგიული ომია, სადაც ამერიკა სხვადასხვა შედეგებს აღწევს. ასეა დაგეგმილი. მას ჩამოყალიბებული კონცეფცია აქვს: არ დაუშვას რუსეთისა და გერმანიის კავშირი, რაც გერმანიული ტექნოლოგიებისა და რუსული რესურსების თანხედრას გულისხმობს. აშშ-ს სურს, რუსეთი ისე დაასუსტოს, რომ თავისი რესურსები და სამხედრო ძალა არ დაზარდოს. ამისთვის გამოიყენეს უკრაინა, რომლის ხელმძღვანელობა მათ მითითებებს ბრძალ ასრულებს.

უკრაინა ეგზისტენციალური საფრთხის წინაშეა. იქ უამრავი

აღამიანი იღუპება, გამეფებულია ფაშისტური რეჟიმი, რომელმაც აქამდე არსებული რეჟიმები თავისი უსირცხვილობით შორს ჩამოიტოვა. თავად სამხედრო-პოლიტიკური ვითარებაც პარადოქსულია. რუსეთ-უკრაინის ომის დამთავრება ძალიან მოკლე დროში იყო შესაძლებელი, თუნდაც რუსეთის მხრიდან, თუკი დნებზე ხიდებს ააფეთქებდა. შედეგად, ამხელა მსხვერპლსაც თავიდან აიცილებდნენ. ხიდები რომ აეფეთქებინათ, მძიმე ტექნიკა დნებზე ვერ გამოცურდებოდა და ვერც საჯარისო ნაწილების როტაცია მოხდებოდა. არცერთი ხიდი დაზიანებული არ არის, ისევე, როგორც ნავთობსადენი, რომელიც

კვლავ გადის უკრაინის ტერიტორიაზე, რაც პარადოქსია. ეს ადასტურებს, რამდენად გარყვნილი და ხალხის ინტერესებთან დაპირისპირებულია პოლიტიკური ელიტა. ამჯერად ვხედავთ გლადიატორულ არენას, რაც უკრაინაში მოაწვევს — ერთი რელიგიის, ისტორიის ხალხს ერთმანეთს ახოცვინებენ. აქედან დასკვნები ჩვენც უნდა გამოვიტანოთ, თუ როგორი ადვილია აღამიანების ზომბირება და გადამტერება. ფრთხილად ვიყოთ, ჩვენს ქვეყანაშიც იგივე არ განმეორდეს.

— ამერიკის მსგავსად, არჩევნების მოლოდინშია საქართველოც. სააკაშვილმა უკვე გამოთქვა არჩევნების მოგების მზაობა და

მისი როლის გამოკვეთაზეც ისაუბრა.

— რა როლი უნდა გამოკვეთოს? — ეტყობა, ახალი ცოლი ჰყავს და ბავშვის გაჩენა უნდა. მიშას საკითხი კომიკურია. ერთი პატიმარი დამისახელეთ, რომელიც სასჯელს საავადმყოფოში იხდის, თან არაფერი სჭირს. მისი მკურნალობის ხარჯებს ჩვენ, ბიუჯეტი იხდის. ერთ-ერთ ტელეარხზე სიუჟეტი მოამზადეს, თუ როგორ ტყვეის გაუსროლელად ჩააბარა სააკაშვილმა კოდორი და როგორ მიდიოდა მიზანმიმართული პოლიტიკა, რამაც ტერიტორიები დაგვაკარგინა. 2008 წელსვე ვთქვი, რომ ეს შეთანხმება იყო. სიუჟეტში ყურადღება გამახვილდა ღალატის მუხლზე, რომელიც 2007 წელს თავად სააკაშვილმა გააუქმა. სიუჟეტის პათოსი იყო: სამაგიეროდ, ამ ექსტრემისტულ ძალას ქართველმა ხალხმა არჩევნებზე უნდა გასცეს საკადრისი პასუხი. წარმოგიდგინათ, სააკაშვილმა 2007 წელს კანონიდან ღალატის მუხლი ამოიღო, ამ ხელისუფლებამ თხუთმეტი წლის განმავლობაში ამ მუხლის აღდგენა ვერ შეძლო და თურმე ამაზე პასუხი ნაცებს მომავალ არჩევნებზე უნდა გავცეთ. ასეთი ინვალიდური ლოგიკის შემცველი გადაცემები ხშირია, რამაც ლოგიკური ინსტრუმენტების ამჟღავნება გამოიწვია. ეს ხომ წმინდა წყლის მასხარაობა, ჯამბაზობაა. სააკაშვილი

ცდილობს, თუ ნებას დართვენ, ბუას ფუნქცია შეასრულოს, რაც, შესაძლოა, საარჩევნო პროცესის თეატრალიზებისთვის მომგებიანი აღმოჩნდეს. სააკაშვილმა რა როლი უნდა გამოკვეთოს?! მისი ბავშვები, კურკლები, სასწაულებრივი 45-დღიანი შიმშილობა უკვე ვიხილეთ. კიდევ რა სიურპრიზს გეიშადებს? — ალბათ, მეუფე ნიკოლოზი შევა და შესძახებს: ოოო, წმინდაო მიქელა. მიქელა გაცოცხლდა, მიქელაა. რაც „ვივა-მედიან“ სააკაშვილმა წარმოგიდგინა, ასეთი ძლიერი „ფილმი“ არცერთ დიდ კომიკოსს არ გადაუღია. გავიხსენოთ თუნდაც „მპათიის“ ხელმძღვანელის მარიამ ჯიშკარიანის დასკვნა, მიშას ორმოცდაათამდე დაავადება რომ დაუდგინა. უკრაინის პიძინის შესრულება, დროშა მას და გვარამიას უკულმა რომ ეჭირათ, ეს კიდევ ცალკე კომედიაა. საოცარი შესრულება იყო, მაგ დროს, მგონი, დედამიწის დამცავი გარსი გაირღვა. გვარამიას და მათ ამომრჩევლებს უნდა მოასმენინო მიშას შესრულებული პიძინა დღეში ხუთჯერ. სამშობლოს ღალატისთვის კი არა, რაღაც ფინანსური გადაცდენებისთვის მისი გუნდის წევრებს 5-6-წლიანი სასჯელები რომ აკმარეს, ის ხალხიც გვერდით უნდა მიუწვინო „ვივა-მედიან“ მეზობელ პალატაში.

თამარ შველიძე



საქართველოში 14 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება აპოიღეს

როგორც უწყების მიერ გამართული ბრიფინგიდან გახდა ცნობილი, ასაფეთქებელი ნივთიერებები უკრაინის მოქალაქის მფლობელობაში არსებული მინივანის ტიპის ავტომობილით შემოიტანეს და მისი გატანა რუსეთის ფედერაციაში, კონკრეტულად ქალაქ ვორონეჟში, საკონტროლო გამშვები პუნქტის „დარიალი“ მეშვეობით იგეგმებოდა.

ორივე მათგანში ჯამში განთავსებული იყო ექვსი ერთეული სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობა. აღნიშნული კონტეინერებიდან სპეციალური გამანადგმველი ჯგუფის მიერ ამოღებულ იქნა ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნივთიერება, რაც ექსპერტიზისათვის გადაიგზავნა შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში. ხოლო ფარული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების უზრუნველსაყოფად, აღნიშნულ კონტეინერებს დაუბრუნდა პირვანდელი ვიზუალური სახე და ე.წ. მულაჟების სახით კვლავ დაბრუნებულ იქნა ზემოაღნიშნულ ამანათში, რათა წარმოებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ არ გამხდარიყო ცნობილი როგორც დამკვეთების, ისე შემსრულებლებისთვის. ამანათის შემდგომი გადაადგილების პროცესი, რა თქმა უნდა, კონტროლდებოდა კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლების მიერ. აღნიშნული საგამოძიებო მოქმედებების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დამკვეთებისა და დამატებითი პირების დადგენა, რომლებიც შესაძლოა, ჩართულნი ყოფილიყვნენ აღნიშნული ტერორისტული ტრანსპორტირების საქმეში ასევე, დადგენილიყო ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაადგილების მარშრუტი და მათი გამოყენების საბოლოო მიზნები.

დადგენილია, რომ ასაფეთქებელი მოწყობილობები სამხედრო წარმოების პლასტიკურ ასაფეთქებელ ნივთიერებას C-4 შეიცავს, რომლის მოქმედებაში მოყვა-

ნა შესაძლებელია ელექტრო დეტონატორის და სპეციალური ტაიმერის საშუალებით. ასაფეთქებელი ნივთიერების საერთო წონა 14 კილოგრამს აღწევს. კონტეინერებში ასევე მოთავსებული იყო 6 ერთეული დეტონატორი და 6 ერთეული სპეციალური ექვსივე ინდივიდუალურ ყუთში დამონტაჟებული იყო მოქმედებაში მოსაყვანი ამდენივე ელექტრონული ტაიმერი, რომელშიც პროგრამულად უკვე ჩაწერილი იყო მოქმედებაში მოსაყვანი დრო.

ამოღებული მოწყობილობების პირველადი



და შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ექვსივე მოწყობილობა დამზადებულია მაღალი ღონის სპეციალისტის მიერ და გათვლილია დაზიანების ფართო რადიუსზე. ხალხმრავალ ადგილებში მსგავსი მოწყობილობის ამოქმედება გამოიწვევდა ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან დაზიანებას და მასშტაბურ მსხვერპლს. აღნიშნული ნივთიერების მუხტი სიმძლავრით ბევრად აღემატება ასაფეთქებელი ნივთიერება ტროტილის მუხტს. კონტრტერორისტული ცენტრის მიერ

კომპლექსურად ჩატარებული მოქმედებების შედეგად, გამოკითხული მოწმეების ჩვენებებისა და ამოღებული აუდიო ფაილების საფუძველზე დგინდება, რომ ხსენებული ასაფეთქებელი მოწყობილობები და ნივთიერება უკრაინის ქალაქ ოდესიდან რუმინეთის, ბულგარეთის და თურქეთის გავლით მიმდინარე წლის 19 იანვარს საქართველოში შემოიტანეს საკონტროლო გამშვები პუნქტით „სარფი“ უკრაინის მოქალაქის მფლობელობაში არსებული მინივანის ტიპის ავტომობილით და იგეგმებოდა მისი გატანა რუსეთის ფედერაციაში, კონკრეტულად ქა-

ლი ცენტრის თანამშრომლების მიერ შეჩერებულ და ამოღებულ იქნა აღნიშნული გზავნილი იმ დროს, როდესაც მას უნდა გადაეკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი საქართველოს მხრიდან. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ოპერატიული-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ აღნიშნული ასაფეთქებელი მოწყობილობების საქართველოში შემოტანაში, ქვეყნის მასშტაბით გადაადგილებაში, ერთ-ერთი კონტეინერის რუსეთის ფედერაციის მიმართულებით ტრანზიტულად გატანაში, ხოლო მეორე მათგანის დედაქალაქში განთავსებაში ჩართული იყო საქართველოს 7, უკრაინის 3 და სომხეთის 2 მოქალაქე. საქმის მასალებით აღნიშნულ პროცესს ორგანიზებას უწევდა უკრაინის მოქალაქე, 2020 წელს ოდესის ოლქის ადგილობრივი რადას კიევის რაიონის დეპუტატობის კანდიდატი პარტიიდან „ხალხის მსახური“ ანდრეი შარაშიძე, რომელიც წარმოშობით ქალაქ ბათუმიდანაა. აღნიშნული პირი საქართველოს ფარგლებს გარეშე აქტიურ მეთვალყურეობას უწევდა ზემოხსენებული ასაფეთქებელი მოწყობილობების გადაადგილებას. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული პირებისთვის, გარდა შარაშიძისა, საკარაულოდ, ცნობილი არ იყო მანქანის აკუმულატორებში განთავსებული ასაფეთქებელი მოწყობილობებისა და კაფსულ-დეტონატორების შესახებ.

ამჟამად მიმდინარეობს აქტიური საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული პირების მხილების, სპეციალური ასაფეთქებელი მოწყობილობების დაზიანების, გადაადგილების მარშრუტის, საბოლოო და აღნიშნულების ადგილის დადგენის, თავდასხმის ობიექტების იდენტიფიცირებისა და სამხილების მოპოვების მიზნით.

უპაპრონო ეკლესიას ჭინკა-ეზგაკეზი შეეხება!

ძვირფასო მკითხველო, ძალიან მიჭირს დედაეკლესიის აუგის თქმა, მაგრამ ეკლესიის წარმომადგენელთა მორჩილება, ამ ავადმყოფი და ბინძური დედაკაცის მსგავსი არარაობისადმი, რომელსაც ნატო ფერაძე ჰქვია, წარმოუდგენელია. რაც ახლა საქართველოში ხდება წმინდა მატრონას ხატთან დაკავშირებით, ეს ყოველად მიუღებელი და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მრევლის უდიდესი შეურაცხყოფაა.

ნუთუ საქართველოში საღად მოაზროვნე საზოგადოება აღარ დარჩა და ყველაფერს ჭინკები და ეშმაკები განაგებენ? ეს უწიგნური და გაუნათლებელი, ყველაფერში ხელმოცარული და პოპულარობის მანიით შეპყრობილი ადამიანის

გადაწეროსო. იმის თქმა გინდათ, რომ წმინდა გიორგი და გველეშაპი კვირაში ორჯერ ხვდებოდნენ ერთმანეთს?! ასეთი უსუსური საბაბით თავის მართლება ქართული ეკლესიისა, მიუღებელია საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვიოს, თქვენი მლანძღველი „ლიბერასტები“ კი გაახარა, თავი გამარჯვებულად გამოაცხადეს და თქვენი დათმობით გაყოფილებულნი, ეკლესიის წინააღმდეგ ახალი შტურმისათვის ემზადებიან.

თქვენი ასეთი მორჩილების ბრალია, რომ ეს უზრდელი არსება ისე გათავხვდება, რომ უკვე გამარჯვებულის პოზიციიდან გველაპარაკება და შესაბამისი პოსტიც გამოაქვეყნა თავის ფეისბუქ გვერ-

სულ შეიძინა ათასი კმ² შემოუერთა, ამავე წლის დეკემბერში მენშევიკური მთავრობის მიერ გატანილი განძი სამშობლოს დაუბრუნა და, რაც მთავარია, საქართველო, ეს ერთდროს ჩამორჩენილი მიწათმოქმედების დონეზე მყოფი გუბერნია, ინდუსტრიულ ქვეყანად აქცია. აღარაფერს ვამბობ მთელი მსოფლიოს წინაშე მის უშუალო დამსახურებაზე, მთელი სამყარო ფაშისფერი ფავისფერი ჭირისაგან რომ იხსნა.

შე უწიგნურო, იცი კი, ვინ იყო სტალინი? რაიმე ობიექტური ნაშრომი, ან თვითონ სტალინის ერთი სტატია მაინც გაქვს წაკითხული? შენ კი არა, აგერ უკვე 70 წელია, ამ მკვდარ კაცს მთელი მსოფლიო ებრძვის და მათ ვერ დაამარცხეს

გან არც ის არის გასაკვირი, რომ არც ის იცოდნენ, ვინ იყო ჩერჩილი.

„მხნედ და იმედიაანად დავაბიჯებ ქვეყანაზე იმ ადამიანთან მეგობრობითა და ახლო ურთიერთობით გაამყვებელი, რომლის დიდებამ, მართო რუსეთს კი არა მთელ მსოფლიოს გადაუარა“.

თუმცა ტყუილად ვირჯები, შენ მაინც ვერაფერს გაიგებ და ვერც დაიმასსოვრებ, რადგან შენი აზროვნების არეალი ამის საშუალებას არ მოგცემს.

ბედის ირონიაა, რომ ამჟამად ეს ქალიწვენიერესი კაცის, ცხოველებული გივი მიქაშავიძის ყოფილ საცხოვრისში ცხოვრობს და იქაურობას ბილწავს.

ძვირფასო მკითხველო, ჩემთვის, როგორც ზემო იმერელი კაცისათვის, ძალზე მტკივნეულია, ზემო იმერეთის შესანიშნავ კუთხეში, ზესტაფონის რაიონში საკმაოდ გავრცელებული ამ ლამაზი გვარის ასეთ კონტექსტში მოხსენიება, მაგრამ რას იხამ, თითო-ორი გლახა ყველგან გამოერევა. ამ შემთხვევაში არც ფერაძეების გვარია გამოწვევის და ამ გვარის დიდებული წარმომადგენლების სირცხვილია, ეს ქალი მათ გვარს ატარებს, უფრო სწორად, არცხვენს.

მივესალმები ბატონი პაპუაშვილის სრულიად სამართლიან და გაბედულ გამოსვლას, რომელმაც სიმართლე თქვა, USAID-ი ამხილა და მისი ზრახვები საშუაროზე გამოიშინა. ეს ყველაფერი ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილმა ისედაც კარგად იცოდა, მაგრამ მან, როგორც ხელისუფალმა, ეს ოფიციალურად დაადასტურა. პაპუაშვილის ამ გამოსვლას რა ამბავიც მოჰყვა და როგორ ბუბუს მოწვევებილი გოჭებივით აჭყვიტინდნენ ეს USAID-ის მკერდს ტუჩებზეაბლაუჭებული არასამთავრობოები და ე.წ. „ატკატი“ ნოყიერად ნასვამ-ნაჭამი USAID-ის წარმომადგენლები, მათი გამოხმაურებებიდანაც ნათლად წარმოჩნდა. თურმე ეს ორგა-



ნიზაცია და მათი წარმომადგენლები ქართველებზე ზრუნვით აღარ არიან და მილიონობით დოლარით ეხმარებიან საქართველოს, რომ ქართველების ცხოვრების დონე და კეთილდღეობა როგორმე ამაღლდეს და მათ საამურ ცხოვრებას ხელი არავინ შეუშალოს. ამიტომ დაფინანსებას კვლავაც განვაგრძობთო, იხტობარს არ იტყვენ ჩვენი „კეთილისმსურველები“.

ძვირფასო მკითხველო, ბევრჯერ დამიწერია და ახლაც ვიმეორებ, რომ ამ ქვეყანაზე ტყუილად და უანგაროდ არავინ არავის ეხმარება, მით უმეტეს, უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. თავის ყოველ ქმედებაში ყველა თავის სარგებელს ხედავს და წილიც აქვს ათვალისწინებულ. ან რატომ უნდა დაგეხმაროს უცხო ქვეყანა უანგაროდ, ჩემთვის გაუგებარია.

ასე რომ, ძვირფასო ქართველებო, ჭკუას მოუხმით და შრომას მოუშაბით, რათა „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს“. კეთილსინდისიერი შრომით, ბეჯითი სწავლითა და ქვეყნის ერთგულებით უნდა გადავარჩინოთ ჩვენი სამშობლო, ქვეყნისა და ქართველი ხალხის ბედი და უსაფრთხოება ჩვენვე უნდა დავიცვათ და სხვების იმედად არ უნდა დავტოვოთ.

ომარ ბოცაძე



მსგავსი არსება ყველაფერ უკადრებელს კადრულობს, რომ თავისი უცხოელი პატრონებისა და დამფინანსებლების დაველება ბოლომდე მონური მორჩილებით შეასრულოს, მათ ერთგულება დაუმტკიცოს და ამაში სარგებელი ნახოს. არ აქვს მნიშვნელობა, ამას რა ხერხებით მიადწევს, ეს იქნება თავისი ქვეყნისა და ხალხის შეურაცხყოფა თუ ფულზე გაყიდვა, მისი შავ ფერებსა და უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა, თუ შავი პიარის აგორება და ლაფში ამოსვრა. ამ არარაობისათვის ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, ფული იშოვოს, თავის უცხოელ პატრონ-დამფინანსებლებს ყველა სურვილი შეუსრულოს და საკუთარი ქვეყანა და მისი სიწმინდეები ტალახში ამოსვაროს.

ძვირფასო ეკლესია, უწმიდესო და უნეტარესო! ამ უწმინდური და მოსულელი დედაკაცის მსგავსი ნატო ფერაძის მოთხოვნითა და მისივე დიქტატით, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღმდგენი სტალინის სურათის ამოღება როგორ გადაწყვიტეთ წმინდა მატრონას ხატიდან. თქვენ იმ ქალის მოთხოვნას ასრულებთ, რომელმაც სრულიად ქართული ეკლესია და მისი სიწმინდეები შებილწა და ყველანაირად ცდილობს ეკლესიისა და ქართული სიწმინდეების მარგინალიზაციას. ფაშაშვილის განმარტებით, სტალინისა და მატრონას შეხვედრა დაფიქსირებული არ არის, რადგან ის ბუნებაში არ მომხდარა და ამიტომ ხატი უნდა

და, შენ როგორ უნდა „გააჯ...ნი“. სანამ ცოცხალი იყო, მთელი მსოფლიო თვალბეჭდში შესცივინებდა და დიტირამებს უკმეფდნენ, ცოტათი მაინც რომ გახდეს გასაკვირი, თუ ვინ იყო სტალინი, ჩერჩილის მიერ სტალინისადმი მიძღვნილი უამრავი დიტირამებიდან ერთ-ერთს შეგახსენებ, თუმცა შენ-

და, შენ როგორ უნდა „გააჯ...ნი“. სანამ ცოცხალი იყო, მთელი მსოფლიო თვალბეჭდში შესცივინებდა და დიტირამებს უკმეფდნენ, ცოტათი მაინც რომ გახდეს გასაკვირი, თუ ვინ იყო სტალინი, ჩერჩილის მიერ სტალინისადმი მიძღვნილი უამრავი დიტირამებიდან ერთ-ერთს შეგახსენებ, თუმცა შენ-

P.S. ძვირფასო მკითხველო, არ ვაპირებდი ამ არარაობისათვის პასუხის გაცემას, რადგან იგი ამდენ ნამდვილად არ ღირს, მაგრამ დაუსჯელობის სინდრომით გათავხვდებულმა ამ უზნეო არსებამ თავი რომ გამარჯვებულად იგრძნო და ულტიმატუმის ენით დაგვიწყო ლაპარაკი, მაშინ გადავწყვიტე, რომ მეპასუხა, როგორც წინა წერლში, აქაც თავისი ადგილი მიმეჩინა და ის მიმეზღო, რასაც იმსახურებს. წერილი უკვე მზად მქონდა რედაქციაში გასაკვანად, რომ ტელევიზიით გამოაცხადდეს, ნატო ფერაძე დააპატიმრეს და 5 დღით პატიმრობა მიუსაჯესო. ნატას ნაირი უზნეო პიროვნება უნდა იყო, რომ ადამიანის დაჭერა გაეზარდეს. ამიტომ ამ მიზეზით თავი შევიკავე ამ წერილის გამოქვეყნებისაგან, რადგან წარსულში მსგავსი შემთხვევა მქონდა ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით. მასზე დაწერილი საკმაოდ მაშხილებელი კრიტიკული წერილი არ გამოვაქვეყნე მხოლოდ იმიტომ, რომ ის დააპატიმრეს და საპყრობილეში იჯდა. არ არის ლამაზი, დაპატიმრებულ და შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფ, ანუ წაქეუულ კაცს წიხლი დააჭირო. როგორც კი გათავისუფლდა პატიმრობიდან, ეს წერილი მაშინვე გამოვაქვეყნე ძალზე სოლიდურ ფურნალ „კვალში“ (N1-2, 2023 წ.). ასე ვაპირებდი ამჟამადც, მაგრამ სასჯელის სიმცირის გამო, ეს წერილი რომ გამოქვეყნდებო, ქ-ნი ნატა უკვე, როგორც ჭარბონულად იტყვიან, „თავისუფლებაზე იქნება“ გამოსული. ასე რომ, ციხის ტვირთი

უკვე მოხსნილი ექნება, ხოლო ქართველი ხალხისგან ამდენ ლანძღვას შეჩვეულ ქ-ნი ნატასათვის ეს სტატია იავნანასავით საამური მოსახმენი იქნება.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო და მივესალმოდ, რომ ხელისუფლებისა და პირადად ბატონი გომელაურის მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი, უკვე პრეცედენტი, მართალია, სიმბოლური, მაგრამ მაინც სასჯელი და მომავალში მავანთათვის ჭკუის სასწავლებელი იქნება. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ოპოზიცია იქნება თუ პოზიცია, ყველამ თავისი ქმედებით კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. არ შეიძლება ოპოზიციის საფარველ ქვეშ მყოფი დამნაშავეებისათვის ამდენი პრივილეგიის მინიჭება. იმედია, ეს პრეცედენტი ტრადიციად იქცევა და მომავალში სასჯელიც არა სიმბოლური, არამედ, შესაფერისი იქნება. სხვაგვარად ქვეყანაში წესრიგი არ დამყარდება და მუდამ არეულობა იქნება.

როგორც იქნა, წერილი დავამთავრე, რომ ტელევიზიის ეკრანიდან ქალაქის პოლიციის მთავარ სამმართველოთან ნატას დამცველი სამკაციანი ჯგუფის საპროტესტო აქცია აჩვენეს, რომლებიც მის დაპატიმრებას აპროტესტებდნენ და საპყრობილედან მის გათავისუფლების ითხოვნდნენ. მოკლედ, რაც ალხანა ის ჩაღხანა, რაც ნატაა, მისი დამცველებიც ისეთივენი არიან. სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ ქ-ნი ნატა მათთან შედარებით ანგელოზად გამოიყურება. ეს ქალის მსგავსი მანცაა, დამცველებისა კი რა მოგახსენოთ.

ბატონო ირაკლი!

გილოცავთ ახალ, ძალზე საპასუხისმგებლო პოსტის დაკავებას და ექვი არ გეკეპარება, რომ ყოველდღონეს იხმართ ჩვენი სამშობლოს წინსვლისა და ხალხის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

მოგმართავთ იმ პენსიონერების შთამომავლები, რომლებმაც ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებში საფუძველი ჩაუყარეს ვერის (მაშინდელი კიროვის) ბაღში ყოველდღიური შეკრების ტრადიციას. ამ შეკრებებს ჩვენთვის, შეიძლება ითქვას, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისგან გარიყვლებად არ ვგრძნობთ თავს.

რძალავს და ჩვენი ხელისუფლება მონურად ემორჩილება. მსგავსი ფაქტების ჩამოთვლა კიდევ შეიძლება, მაგრამ ახლა ამაზე შევიჩრდეთ.

სააკაშვილზე გავაგრძელებთ. არ გეჩვენებათ, რომ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრაა? რატომ არ იძიებთ აგვისტოს ომის საქმეს, რომლის შედეგად აუცილებლად გამოიკვეთება მისი მხრიდან სამშობლოს დაღალტო. პირადად თქვენ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს ხშირად გითქვამთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ კრიმინალური ორგანიზაციაა. თუ ეს ასეა,

საქმე მისი შედეგებით ფასდება, ჩვენ შემთხვევაში კი შედეგი ასეთია: დაშლილი, დანაწევრებული, ფიზიკური განადგურების ზღვარზე მყოფი ქვეყანა (ამ დროს ჩვენი „მეგობრის“, თურქეთის მიერ ოკუპირებული აჭარა), სსრ კავშირის (რუსეთის) შემადგენლობიდან გამოვიდა რესპუბლიკის სტატუსით, მტკიცე საზღვრებით, რომელ საზღვრებშიც მალევე გაერთო გვეცნო, 5 მლნ მოსახლეობით, აჭარით, განვითარებული მრეწველობით და სოფლის მეურნეობით, მსოფლიო დონის მეცნიერებით, ლიტერატურით, ხელოვნებით, სპორტით. საქართველოს მთელი ისტორიის განმავლობაში არ მო-

ყოველივე შემთხვეულიდან გამოდინარე, თავს უფლება ვაძლევთ, მოგცეთ ძალზე კეთილგანწყობილი, გენბავთ, მამაშვილური რჩევები:

1. მოუხსენით პატიმარ სააკაშვილს ყველა პრივილეგია და შეუწყნით ისეთი პირობები, როგორიც სხვა პატიმრებს აქვთ;
2. აკრძალეთ ქვეყნის გარედან ე. წ. არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსება, ან დააკანონეთ, წარმოადგინონ ანგარიშები ფინანსების მოძრაობის შესახებ;
3. გაასამართლეთ და აკრძალეთ „ნაციონალური მოძრაობა“, როგორც ქვეყნის ინტერესებისა და

და უხეშად ერევიან ჩვენს საშინაო საქმეებში;

7. აკრძალეთ ქალაქისა ცენტრში ყოველგვარი მიტინგებისა და მასიური შეკრებების გამართვა, გარდა სახალხო დღესასწაულებისა;

8. აღადგინეთ სისხლის სამართლის კოდექსში მუხლი სამშობლოს დაღალტის შესახებ;

9. უკრაინის ფაშისტური ხელისუფლება ჩვენი მეგობარი არ არის, ამიტომ დაამყარეთ მათთან ადეკვატური ურთიერთობა.

10. შეწყვიტეთ რუსეთის საწინააღმდეგო მოქმედებები და რიტორიკა. ჩადით მოსკოვში და დაეულაპარაკეთ მის ხელმძღვანელებს;

ღია წერილი საქართველოს პრეზიდენტ-მინისტრობის კანდიდატს, ბაბონ ირაკლი კობახიძეს

ვსაუბრობთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე, ხელოვნებაზე, სპორტზე, ჩვენი ქალაქის იერსახეზე, და, რა თქმა უნდა, პოლიტიკაზე. ჩვენ შორის არიან ინჟინრები, ექიმები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, პედაგოგები, სპორტსმენები. ბევრი მათგანი არაერთი საპატიო რეგალიის მფლობელია. სიამაყით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მოკრძალებული წვლილი გვაქვს შეტანილი.

ბატონო ირაკლი! აქტიურად ვადევნებთ თვალს თქვენს მოღვაწეობას და გვინდა, გულწრფელად დაგვიდასტუროთ ჩვენი ღრმა პატივისცემა და კმაყოფილება იმ ნაბიჯების მიმართ, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინსვლისა და მსოფლიო არენაზე ავტორიტეტის ასამაღლებლად გადაიდა, მაგრამ არის არაერთი საკითხი, რომელიც, რატომღაც, დღემდე გადაუწყვეტელია და რომლებიც არათუ ნეგატიურად მოქმედებენ ჩვენს ყოველდღიურებაზე, არამედ, ხშირად ძირს უთხრიან ქვეყნის უსაფრთხოებას. ეს საკითხი ეხება როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას. თავს უფლებას ვაძლევთ, ამ საკითხებზე დაგისვით შეკითხვები, და, ამასთანავე, მათ შესახებ ჩვენი აზრი მოგახსენოთ. დავიწყებთ საშინაო პოლიტიკით.

მოგეხსენებათ, კორონავირუსი მოვიშორეთ, მაგრამ რატომ ვერ ან ვიშორებთ ვირუსს, რომელსა სააკაშვილი ჰქვია? რატომ აქვს მას პრივილეგიები სხვა პატიმრებთან შედარებით? რატომ აქვს მას წვდომა ინტერნეტზე? ეს ხომ პატიმრობა აღარ არის.

ბატონო ირაკლი! ერთი ოლიონური პიროვნებისა არ იყოს, „დემოკრატია ლობიობა არ არის“. „ლობიობაა“, როდესაც მომიტინგე პოლიციელს თავში ურტყამს და მას სამაგიეროს გადახდის უფლება არ აქვს და არც არავინ აგებინებს ამაზე პასუხს. „ლობიობაა“, როდესაც ვიღაც ვიგინდარა ელჩი მიგვითითებს, გორში სტალინის მუზეუმი დაკეტეთო და ხელისუფლებისგან რეაგირება არ არის; „ლობიობაა“, როდესაც 3+3 ფორმატში მონაწილეობას, თქვენ რომ მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს ეძახით, იმ ქვეყნის ელჩი საჯაროდ გვიკ-

რამიც სავსებით გეთანხმებით, რატომ არ ასამართლებთ და არ კრძალავთ ამ ორგანიზაციას? რატომ არ იღებთ ზომებს ზოგიერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ამკარად სახელმწიფოს ძირგამომთხრელი საქმიანობის აღსაკვეთად?

სამწუხაროდ, არანაკლებ შეცდომებს ვხედავთ ქვეყნის საგარეო პოლიტიკაში. დავიწყებთ დღეს ყველაზე აქტუალური საკითხით, ჩვენი დამოკიდებულებით უკრაინაში მიმდინარე პროცესებთან, როდესაც უკრაინის ხელისუფლებამ ჩვენი კრიმინალები შეიფარა და მაღალ თანამდებობებზე დანიშნა, ჩვენი ხელისუფლება რატომღაც დუმდა. ის არგუმენტი, რომ უკრაინა ომშია ჩართული და ახლა პროტესტების დრო არ არის, სრულიად მიუღებელია, რადგან, თუ უკრაინა, რომელიც ომშია, იმისთვის იცლის, რომ ჩვენი მისამართით მტრული განცხადებები აკეთოს და ჩვენი დამნაშავეები, ბოდიში და, „აგულაოს“, ჩვენ რატომ არ უნდა გვექონდეს შესაბამისი რეაქცია?! გვესმის, რომ დიდ წნეხს განიცდიან ჩვენი „სტრატეგიული მეგობრებიგან“, მაგრამ, განა დიდი მეფე ერეკლე ნაკლებ წნეხს განიცდიდა სპარსეთისა და ოსმალეთისგან, როდესაც ქვეყანა გზაგასაყარზე აღმოჩნდა? ბრძენმა მეფემ მაშინ დიდი რისკის ფასად ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო, რის შედეგადაც ქვეყანა გამრავლდა, გაერთიანდა და გასულ საუკუნეში არნახულ განვითარებას მიაღწია. გაბედეთ, ბატონო ირაკლი, მიბაძეთ ჩვენს სახელოვან მეფეს და გააკეთეთ არჩევანი ორ ბოროტებას შორის, ნაკლები ბოროტების სასარგებლოდ, რასაც რუსეთი ჰქვია. რადგან რუსეთი ვახსენეთ, აქვე მოგახსენებთ ჩვენს შეხედულებას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. დიდ შეცდომად მიგვაჩნია ხელისუფლების მხრიდან ისტორიის გაყალბება, რაც რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის მხოლოდ უარყოფით კონტექსტში მოხსენიებაში გამოიხატება, რის შედეგადაც ახალგაზრდობა და არამართო ის, დარწმუნებულია, რომ რუსეთს ბოროტების მეტი საქართველოსთვის არაფერი გაუკეთებია, რაც უსინდისო ტყუილია. დაგვეთანხმებით, ბატონო ირაკლი, რომ ყველა მოვლენა თუ

იძებნება უწყვეტი ორი საუკუნე, როდესაც არავინ გვანადგურებდა და გვზოცავდა.

ამ ფაქტების უარყოფა შეუძლებელია და ისინი თავისუფლად გადაწიან ყველა ბოროტებას და დანაშაულს, რაც რუსეთის იმპერიას საქართველოს მიმართ აქვს ჩადენილი.

ის ფარატიანა ქალაღდი, რომელიც კანდიდატის სტატუსის მონიჭებას ადასტურებს, მოროგი სატყუარა, დამატებით ვაღდეულებების აღება და მეტი არაფერი. საით მიგვაგვართ, ბატონო ირაკლი! ვთქვათ, მიგვიღეს ნატო-შიც და ევროკავშირშიც. აფხაზეთსა და

მი მტრულად განწყობილი ორგანიზაცია;

4. გაამკაცრეთ კანონი პოლიციელების მიმართ შეურაცხყოფელი მოქმედებების ჩადენისთვის პასუხისმგებლობის შესახებ და მკაცრად მოსთხოვეთ პასუხი ასეთი მოქმედებების ჩამდენებს, ვინც უნდა იყვნენ ისინი;

5. დაიწყეთ გამოძიება 2008 წლის აგვისტოს ომში ქვეყნის მაშინდელი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის შესახებ;

6. მოსთხოვეთ პასუხი იმ ქვეყნების ხელისუფლებებს, რომელთა ელჩები ქვეყნის მიმართ შეურაცხყოფელ განცხადებებს აკეთებენ

11. თუ კიდევ მოქმედებს 3+3 ფორმატი, აუცილებლად მიიღეთ მასში მონაწილეობა;

12. დაიწყეთ დიალოგი აფხაზეთთან და ოსებთან.

ბატონო ირაკლი, ამ წერილს არ მოგწერდით, თქვენში გონიერ და სამშობლოზე უადრესად შეყვარებულ ადამიანს რომ არ ვხედავდეთ. დროა, იმოქმედოთ, ბატონო ირაკლი, ოღონდ, ფრთხილად, მკვეთრი მოძრაობების გარეშე. გახსოვთ, ალბათ, ვინც ასე არ მოიქცა, როგორ მოექცა მათ „ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორი“, იგივე ბოროტების იმპერია.



სამაჩაბლოს რას უშვრებით, მათ ხომ მყისვე მიიერთებს რუსეთი?!

უკრაინას დაუბრუნდეთ, პუტინი რომ ფრთიანი ანგელოზი არ არის, კარგად ვიცით, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, ვთქვათ, რომ, მიუხედავად უკრაინის ხელისუფლებისადმი არაერთი თხოვნისა, თავი დაენებებინათ ნატოსთვის, უკრაინის ხელისუფლებამ ეს თხოვნები არ შეისმინა, რითიც რუსეთს სასიცოცხლო საფრთხე შეუქმნა და პუტინს სხვა გზა არ დარჩა, გარდა იმისა, რომ ძალის გამოყენებით აეცილებინა თავიდან მოსალოდნელი საფრთხე.

- უღრმესი პატივისცემით:**
- ოზარ კიპნაძე, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, 85 წლის;
 - დავით მებრძოლი, შრომის ვეტერანი, 77 წლის;
 - რამაზ კობახიძე, შრომის ვეტერანი, 87 წლის;
 - თენგიზ ბვარჯალაძე, შრომის ვეტერანი, 78 წლის;
 - ლევან ჯიბუშტი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, 85 წლის;
 - თიმიშურა ალასიძე, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, 68 წლის;
 - შენგალი ფიკლაური, ხელოვნების დამსახურებული მუშაკი, ეკონომისტი, 80 წლის;
 - მერაბ ფითლაური, ხუროთმოძღვარი, 67 წლის;
 - ავთანდილ რობაქიძე, შრომის ვეტერანი, 76 წლის.

აქოსნილი საიღუმლო - დახურული ხეობები!



„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ნიაზ ზოლქვაშვილი. ბატონი ნიაზი, რომელიც საქართველოს მწერალთა კავშირისა და ფილოსოფოსთა საზოგადოების წევრია, ამავდროულად, არის ბაშკირეთის რესპუბლიკის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ეროვნული კულტურის ცენტრისა და ქართველთა სათვისტომოს დამფუძნებელი და პრეზიდენტიც (ამჟამად საპატიო) არის. იგი 15 წიგნის, 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა და 500-ზე მეტი სტატიის ავტორია, რომლებიც ქართულ და უცხოურ გამოცემებში გამოქვეყნდა.

ილია ჭავჭავაძის პრემიის ლაურეატი, ქართული კულტურის რაინდის ტიტულის მფლობელი, ბატონი ნიაზი, რკინის ქალამნებამოცემული დადის და მსოფლიოს წინაშე საქართველოს წარმოჩენას კიდევ ერთხელ ცდილობს.

კაცია, რომელსაც ნაშრომისთვის „აზროვნების ეკოლოგია — კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“, ნობელის ინსტიტუტიდან ოფიციალური შეტყობინება გამოუგზავნეს, რომ მისი ნაშრომი მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის განსახილველად არის მიღებული, რატომღაც დაუსაქმებელია, თითქოს უზილაგმა ხელმა ყველა კარის შესასვლელი გამიზნულად ჩაურაზა.

ბატონი ნიაზი მხოლოდ ქვეყნის და ხალხის სამსახურში დგას. სამეცნიერო-სამწერლო საქმიანობის პარალელურად, საქველმოქმედო ფონდს „წინაპართა მემკვიდრეობის გადასარჩენად“ ხელმძღვანელობს, რომელიც მამულიშვილური ვალის მოსახდელად უნიკალური ქართული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის მატერიალურ-კულტურული ძეგლების, ძველი კოლხური რკინის სადნობი ქურა-სახელოსნების გადასარჩენად და

დასაცავად დააფუძნა თანამოაზრე მამულიშვილებთან ერთად.

ტიბეტელი ბერი, გეშე ლამა ტინლეი, ბუდისტური ფილოსოფიის დოქტორი და პროფესორი, წმინდანად არის აღიარებული. როდესაც ბერი ლექციების წასაკითხად ოთხი დღე უფაში იმყოფებოდა და იქიდან გაემგზავრა, უფადან აეროპორტამდე (დაახლოებით 15 კმ) ათასობით ადამიანი ფეხით მიმოდიოდა იმ გზაზე, აქ წმინდანმა გაიარაო. მისი წიგნების შესაძენად გრძელი რიგები იდგა, მან ბატონ ნიაზს პირადად გადასცა საჩუქრად საკუთარი ორი წიგნი წარწერით: „მეგობრობის ნიშნად“ და ხანგრძლივი საუბრისთვის დრო არ დაიშურა. ამ წმინდანმა ბერმა გამოიხატა შეზღუდულ დროში საკმაოდ დრო ბატონ ნიაზთან შესახვედრად, ჩვენი კულტურის სამინისტროს რანგით ყველაზე დაბალ მოხელესაც კი დრო ვერ გამოუძენია...

ნიაზ ზოლქვაშვილი: „ძველი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნოები (ძვ. წ. აღ-ის XII-VII სს.), რომლითაც ნებისმიერი ერი იამაყებდა, სრული განადგურების წინაშე იდგა. ეს უნიკალური ძეგლები, რომლებიც ნივთიერი მტკიცებულებებით ადასტურებენ, რომ საქართველო რკინის ისტორიული სამშობლოა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მიერ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია 1959-2000 წლებში, თუმცა, საქართველოს, როგორც რკინის სამშობლოს, საერთაშორისო აღიარება არ მოპოვდა.

დღემდე არ იყო ამ უნიკალური ძეგლების გადარჩენის, დაცვისა და პოპულარზაციის მეთოდები, რაც იუნესკოს მიერ პირდაპირი მოთხოვნა ასეთი მნიშვნელობის მსოფლიო მემკვიდრეობის აღმოჩენის შემთხვევაში. ქურა-სახელოსნოები მეცნიერულად შესწავლის შემდეგ უყურადღებოდ და დამცავი ღონისძიებების გარეშე დარჩა მიტოვებული.

არტეფაქტები გადაიტანეს და დაცულია მუზეუმებში, მაგრამ მთავარი - 3000 წლის ქურა-სახელოსნოები რჩებოდა ყურადღების მიღმა, ყოველგვარი კონსერვაცი-


ისა და საინფორმაციო დაფების გარეშე, რომელიც მიუთითებდა, რომ ამ ადგილზე ასეთი უნიკალური ძეგლებია. შესაბამისად, მოსახლეობას წარმოადგენს არ ჰქონდა აღმოჩენაზე და სურვილისამებრ ღობავდნენ სასურველ მიწის ნაკვეთებს, რასაც მიწების გადახვნა და ამ ძეგლების განადგურება მოჰყვა — ნაწილი ტყემ დაფარა, ნაწილი ნიაღვრამა წაშალა, დავიწყებას მიეცა და დაიკარგა.

ჩვენ მდიდარი მუზეუმები გვაქვს, მათ შორის ბათუმშიც, სადაც, ქვის ხანიდან მოყოლებული, ათასობით ექსპონატია, მაგრამ, რაც ისტორიული რკინის სადნობი სახელოსნოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტებია, წიდეები და სხვა ნიმუშები, ამდენ ექსპონატში დამთავალიერებელზე ვეღარ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც უნდა მოახდინოს 3 ათასი წლის წინანდელმა ადრე რკინის ხანის ნიმუშებმა.

2016 წლიდან დავინტერესდი ქურა-სახელოსნოებით, რომელთა არსებობა ბავშვობიდან მახსოვდა. არქეოლოგებთან ერთად წავიდი იმ ადგილების დასათვალიერებლად, სადაც რამდენიმე ათეული წლის წინათ აღმოაჩინეს. როდესაც ადგილზე მივედი, ძველ კოლხურ

რკინის სადნობი სახელოსნოებს იმ არქეოლოგმაც კი ვეღარ მიაგნო, ვინც თავის დროზე აღმოჩენაში მონაწილეობდა. არქეოლოგიური მუშეუმის ერთ-ერთმა თანაშრომელმა მიაგნო, რომ ინგლისიდან ჩამოვიდა ორი მეცნიერი, რომელთაც ჰქონდათ ინფორმაცია აჭარაში ადრე რკინის ხანის რკინის წარმოების კერების აღმოჩენის შესახებ (მაგალითად, ჩაისუბნის ძეგლი, ძვ. წ. აღ-ის X-VIII საუკუნეების არის. გერმანიის, ბოხუმის უნივერსიტეტის დასკვნით, უფრო ძველი, XI საუკუნისაა). ჩვენ გავყვეით სტუმრებს, მაგრამ ადგილზე მისულელებს აღარაფერი დაგვხვდა. სტუმრები გაოცებულნი დარჩნენ, ეს რა ხალხია, ასეთი ბარბაროსობა გაგონილაო? უცხოელი მეცნიერები გულდაწყვეტილი დაბრუნდნენ სამშობლოში.

როდესაც ჩვენ ავედით სავარაუდო ადგილზე, იქ ტრაქტორები მუშაობდნენ. ვთხოვეთ, რაღაც ხანი გაჩერებულიყვნენ. ჩვენ დავიწყრეთ გათხრები — ასე თავიდან აღმოვაჩინეთ სასწაულებრივად გადარჩენილი ორი ქურა. შემდეგ კი შეიდა წლის განმავლობაში, მდინარეების: ჭოროხის, ჩაქვისწყლისა და ჩოლოქის აუზებში სამი უძველესი კოლხური რკინის სად-



ტიბეტელი ბერი ლამა ტინლეი და ნიაზ ზოლქვაშვილი

ნობი ქურა-სახელოსნოს გადარჩენა და დაცვა შეეძლებოდა.

ამის შემდეგ დავსვით საკითხი, რომ ხსენებული ძეგლები მუზეუმში კი არ უნდა გადავიტანოთ, არამედ, როგორც უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლი, ადგილზე უნდა დარჩეს მუზეუმის სახით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ და საქართველოს კულტურის სამინისტრომ თავიდანვე მოიწონეს ჩვენი წინადადება და აღნიშნული ძეგლების გადარჩენისა და მუზეუმ-ნაკრძალის მშენებლობის შესახებ. 2019 წელს ჩაისუბნის ისტორიულ ქურა-სახელოსნოს საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს მიერ უძრავი მატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. აჭარის მთავრობამ გამოთქვა სრული მზადყოფნა, მუზეუმისთვის სიმბოლურ ფასად მიწის გამოყოფის შესახებ. ჩაისუბნის ისტორიული ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გამოიყო 3000 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი. მუზეუმ-ნაკრძალი იქნება საბაზო, სადაც წარმოდგენილი იქნება კოლხეთის ტერიტორიაზე არსებული უძველესი კოლხური მეტალურგიის ერთიანი სისტემა.

ძიების პროცესში ჩვენი პოზიციები გაამყარა დახურული ხეობების აღმოჩენამ.

დავიწყე ფიქრი იმაზე, როგორ

შეინარჩუნეს უძველესმა კოლხებმა რკინის წარმოების ტექნოლოგიის საიდუმლო იმ დროს, როდესაც უამრავ მომხდურთან ერთად, სხვა ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების ფონზე.

ცნობილი არქეოლოგი ოთარ ლორთქიფანიძე ძველ ქართულ ცივილიზაციაზე საუბრისას ძველ ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ ძვ. წ. აღ-ის VIII საუკუნის დასაწყისში ბერძნები (თებელეები) მოგზაურობდნენ შავი და ხმელთაშუა ზღვის აუზებში, ურთიერთობას ამყარებდნენ უცხო ტომებთან და აფუძნებდნენ კოლონიებს, რათა როგორმე რკინის დამუშავების ტექნოლოგიები მოეპოვებინათ. არგონავტების მოგზაურობიდან დაახლოებით 400 წლის შემდეგაც ვხედავთ, რომ ბერძნები რკინის წარმოების საიდუმლოს ისევ დაეძებნენ, ამ დროს კი ჩვენთან რკინის წარმოების განვითარებული ეტაპია. როგორ შემდეგ ჩვენმა უძველესმა წინაპრებმა ამ საიდუმლოს შენახა?

დახურული ხეობები! — უცებ გონება გამონათდა.

როგორ მივაკვლიე. როდესაც ჩაისუბნის ძეგლის ტერიტორიაზე ვიმყოფებოდით, კითხვა დავსვი: რატომ იყო განთავსებული ეს ქურა-სახელოსნო ამ ადგილზე? აქ თავის დროზე მომუშავე არქეო-



დახურული ხეობების რუკა



არტეფაქტები

ლოგების პასუხი იყო, რომ იქ იყო წყალი (მდინარე), წაბლი, წყავი — საწვავი მასალა, თიხა... პასუხმა, რომ ქურა-სახელოსნობის იმ ადგილზე არსებობდა დაკავშირებული იყო მხოლოდ რკინის გამოღობისთვის საჭირო პირობებზე, ეჭვი გამიჩინა, რომ ეს მოსაზრება უსაფუძვლო იყო.

ძალიან ცუდი ტენდენციაა (არა მხოლოდ ჩვენთან), რომ მუდმივად ხდება ავტორიტეტული მეცნიერების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ყოველგვარი განსჯის გარეშე გაზიარება. „ჩვენ ყველა, ერთნაირად ვხედავთ, მაგრამ სხვადასხვაანაირად ვამჩნევთ“, — ამბობდა მაძებარი შერლოკ ჰოლმსი და ეს ნამდვილად ასეა — ანუ იქ, ისტორიული სახელოსნობის ტერიტორიაზე იყო რაღაც, რაც მანამდე მეცნიერთა ყურადღების მიღმა შეუმჩნეველი რჩებოდა.

რა ჩაიფიქრეს ძველი კოლხეთის მმართველებმა, რომ ქურა-სახელოსნობები იქ განათავსეს და არა სხვაგან? იმიტომ, რომ იქ არის წყალი? წყალი შენაკად მდინარეზე უფრო მეტია თუ მთავარ მდინარეზე? რა თქმა უნდა, მთავარ მდინარეზე. ესე იგი, წყალი გამოირიცხებოდა. საწვავ მასალად გამოსაყენებელი ხის ჯიშები მთავარ მდინარესთან უფრო უხვად იყო, ვიდრე შენაკადებთან — ესე იგი, სხვა რამესთან გვაქვს საქმე! სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, ზემოდან დამეხედა ისტორიული სახელოსნობის ტერიტორიისთვის და ჩემს წარმოსახვაში ზემოდან დავხედე ჩაქვის ხეობას. ეს არის, „მატრიოშკას“ პრინციპი! — დიდ ხეობაში პატარა ხეობებია, რომლებიც არსაიდან ჩანს.

ეს აზრი რომ შემემოწმებინა, ჩავედი ჩაქვში და სიმაღლიდან გადმოვხედე მდამოს, ასევე ზღვის სანაპიროდან დავაკვირდი, ისტორიული სახელოსნობის ტერიტორიები არსაიდან ჩანდა.

ამ აზრის დასაბუთების მიზნით, დავიწყე გამამყარებელი არგუმენტებზე მუშაობა.

უძველესი კოლხეთის ტერიტორიაზე, სადაც მუშაობდა ქურა-სახელოსნობები, მათ განლაგებაში ყველგან — „მატრიოშკას“ პრინციპია გამოყენებული. თუ, ვთქვათ, მგზავრი გაჩერდებოდა მთავარი მდინარის და ზღვის შესართავთან, ან სულაც აუყვებოდა მდინარეს, ის ვერაფერს შეინშნავდა, მაგრამ თუ მთავარი მდინარის შენაკადი მდინარის ხეობებში დაბურული ტყეებით განაგრძობდა სვლას, ეს რაღაცის მიმართ უკვე გარკვეულ ინტერესს ნიშნავდა და ასეთი დაუპატიჟებელი სტუმრისთვის მოგზაურობა ყოველთვის საბედისწეროდ სრულდებოდა.

ბერძნული წყაროები ამბობენ, აიეტი ისეთი მკაცრი იყო, რომ დაუპატიჟებელ სტუმარს სიკვდილით სჯიდნო. ამავდროულად, აიეტის სტუმართმოყვარეობის შესახებაც ცნობილია. როგორ გავიგოთ ეს ურთიერთგამომრიცხავი დახასიათება?

ერთმა ახლობელმა მეცნიერმა მითხრა, ხომ არ სჯობს, თავი ავარიდოთ ფრანკს „სიკვდილით სჯიდა“? არ დავეთანხმე, რადგან, რაგინდ სტუმართმოყვარე და დიდსულოვანი იყო, როდესაც საქმე საქვეყნო საიდუმლოს, სახელმწიფოს სტრატეგიულ ინტერესებს ეხება, ყველანაირ ზომას მიიღებ, რომ საიდუმლო არ გამჟღავნდეს. ეს მხოლოდ ქართველებს არ გვეხება.

მაგალითად, ტიბეტი უძველესი დროიდან გასაიდუმლოებული იყო, არავინ იცოდა, რა ხდებოდა იქ. სწორედ მათთან, XIX საუკუნის შუახანებამდე იყო კანონი, რომლის მიხედვითაც, იმის გამო, რომ არ გაეტანა ინფორმაცია ტიბეტის არსებობისა და ადგილმდებარეობის შესახებ, დაუპატიჟებელი სტუმარი თავის მოკვეთით ისჯებოდა.

სამი გზა გადიოდა კოლხეთზე, ერთი — მთავარი სახმელეთო, ზღვის სანაპიროთი, მეორე — სამთო ბილიკებით, მესამე იყო საზღვაო-სატრანსპორტო. ისე იყო განლაგებული ეს რკინის საწარმოები, რომ ამ სამი მიმართულებიდან მგზავრისთვის მათი ადგილმდებარეობა შეუმჩნეველი იყო.

მეორე გზას სამთო ბილიკებით, სავაჭრო სატრანზიტო დანიშნულებასთან ერთად, თავდაცვითი ფუნქცია ეკისრა. მთის მაღალ ფედრობებზე განთავსებული იყო სათვალთვალო, საგუშაგო კოშკები. XVIII საუკუნის ბოლომდე შემორჩენილი იყო ეს თავდაცვითი სისტემა. დაცვის სამსახური ქურა-სახელოსნობებთან მისასვლელ გზებს, როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტებს, ისე იცავდა.

ელემენტარულია, თუ ყველასთვის ხელმისაწვდომი იყო რკინის დამუშავების ტექნოლოგია, მაშინ რატომ გაასაიდუმლოებდნენ, ხომ? იმისათვის, რომ ყველა მტკიცებულება იყოს წარმოდგენილი, საიდუმლო დაბურული ხეობების დემონსტრირებისთვის სპეციალურად შექმნილი კოლხეთის დაბლობის მდინარეების: ნატანები-ჭოროხის რელიეფური რუკა, სადაც თვალნათლივ ჩანს საიდუმლო ხეობების არსებობა.

სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ საქართველოში, მეცნიერებასა თუ სხვა მიმართულებებში, როდესაც საქმე საერთაშორისო ურთიერთობებს ეხება, პროვინცი-

ალურ აზროვნებას ხშირად ვაწყვდებით. კერძოდ, ამ შემთხვევაში არაერთხელ მომისმენია: „როგორ შეიძლება საქართველომ თქვას, რომ მსოფლიომ რკინის წარმოება ჩვენი წინაპრებისგან ისწავლა. აშშ, ინგლისი, რუსეთი, ჩინეთი და სხვა უძლიერესი ქვეყნები როგორ შეხვდებიან ამას?“ იცით, რომ უცხოურ მასალებში კითხვა დასმული ხალიბების ვინაობის შესახებ და ვერსიებში ჩამოთვლილია სხვადასხვა ხალხები, დაღესტნელებიც კი, და არსად არის ნახსენები ქართველი — ამ დროს კი ხალიბების მემკვიდრეობა ჩვენ გადავარჩინეთ.

ჩვენს ისტორიას მოვლა და პატრონობა სჭირდება!

როგორც ხედავთ, პრობლემა „როგორ შეიძლება“ —ა!

ჩვენს პირველ წერილზე, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს სახელზე გაიგზავნა ადგილზე მუშეუმის შექმნის შესახებ, მალევე მივიღეთ თანხმობა. მიუხედავად ამისა, გავიდა დიდი დრო და წინ მაინც ვერ წავიწიეთ. ალბათ, იმ მიზეზთა გამო, რაც უკვე ითქვა — როგორ ვუთხრათ ამ დიდ ქვეყნებს ის სიმართლე, რომელიც მსოფლიოს მეცნიერებმა ისედაც იციან და რაზეც დუმილს ამჯობინებენ. ჩემი პასუხი ასეთ შემთხვევაში უმარტივესია: ბატონებო, ჩვენ ვსაუბრობთ უძველეს კოლხეთზე, რომელიც იმდროინდელ სამყაროში დადასტურებულია განთქმული იყო თავისი სიმდიდრითა და ცოდნა-სიბრძნით, იმ კოლხეთზე, რომლისკენაც ისწრაფოდნენ მოაზროვნე ადამიანები, ვაჭრები თუ მეომრები...

საიდუმლოს მაძიებლად რომ მოდიოდნენ უძველეს კოლხეთში და ვერ აკვლევდნენ მას, ხშირად კი სავალალოდაც მთავრდებოდა ცნობისმოყვარეთა სწრაფვა, სწორედ ამიტომაც იქცა კოლხეთი მითიურ სამეფოდ, რომელსაც დრაკონები, გველეშაპი და სხვა მითიური პერსონაჟები იცავდნენ. როგორც სპორტსმენი, ხშირად ვიყენებ ცნობილ სპორტულ პრინციპს, მოწინააღმდეგის საწინააღმდეგოდ მის წინას ვიყენებ! მაგალითად, „იუნესკოში“ რომ წარვადგინებ დადასტურებულ პრეტენზიას, გაჩნდება კითხვა: სხვა ქვეყნებსაც ხომ არ ჰქონდათ რკინის წარმოება? სხვა ქვეყნები რკინას რომ არ აღნობდნენ, ამის დასტურად მყარი არგუმენტები გვაქვს. მაგალითად ორიოდე მთავრად.

ძველი ბერძენი პოეტი ჰესიოდე (ძვ. წ. VIII საუკუნის მეორე ნახევარი) — VII საუკუნის პირველი ნახევარი) თავის ნაწარმოებში „სამუშაოები და დღეები“, მოგვითხრობს ბერძენი ხალხის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე — იყო ოქროს ხანა, ვერცხლის ხანა, სპილენძის ხანა და განსაკუთრებულად აღნიშნავს, რომ სპილენძის ეპოქაში ღმერთმა შექმნა ღმერთის სადარი გმირი ადამიანების მოდგმა, გმირების ხანა, რომლებიც ტროას და სხვა ომებში დაიღუპნენ. ამ დროს, სპილენძის ხანაში, ბერძნებს არ ჰქონდათ შავი რკინა. ეს არის ტროას ეპოქა, ძვ. წ. აღ-ით დაახ. XIII-XI საუკუნე. ნახეთ, ჩვენ ამავე ეპო-

ქის ძვ.წ.ად. XII საუკუნის (XI საუკუნის ძველები გვაქვს გადარჩენილი, ანუ ხელთ გვაქვს ნივთიერი მტკიცებულებები და ამ დროს მათი ავტორიტეტული ავტორები წერილობითი წყაროებით თავად გვეუბნებიან, რომ რკინა არ ჰქონდათ!

პომპროსი „ილიადაში“ წერს, რომ მათი მეომრები სპილენძისა და ბრინჯაოს იარაღით იბრძოდნენ. რკინის არსებობის შესახებ იციან, მაგრამ რკინა გამოიყენება როგორც ძვირფასი ლითონი, ასპარეზობების დროს გამარჯვებულის დასაჯილდოებლად. ერთ-ერთი ასპარეზობის დროს, აქილევსს ორთაბრძოლაში გამარჯვების ნიშნად ჯილდოდ რკინის ბირთვი ერგო. ანუ მათ იციან რკინის არსებობა, ის ძვირფასია, მაგრამ არ იციან მისი წარმოება. მაშასადამე, ბერძნები ვერ შეგვედავებინ!

ახლა ებრაელ ხალხზე ვთქვათ. მოციქული მოსე ერთ თანამემამულეს წარადგენს თავისი ხალხის წინაშე და ამბობს: ჩვენი თანამემამულე ღმერთმა დააჯილდოვა სიბრძნით, დაამუშავოს ოქრო, დაამუშავოს ვერცხლი, სპილენძი, ხე. ჩამონათვალში რკინა არ არის, რადგან არ ჰქონდათ, მაგრამ რკინის არსებობის შესახებ იცოდნენ. შემდეგ თავში მოსე ბრძოლის წინ

უძველესი დროიდან, ძვ. წ. აღ. III ათასწლეულშიც იცნობდა — ეს იყო მეტეორიტული რკინა, მაგრამ მდინიდან გამოღობის წესით ადამიანი რკინას ძვ.წ. აღ. II ათასწლეულის შუახანებამდე არ იცნობდა. როგორც წყაროები გვიჩვენებენ, ხეთებთან საუბარია არა მეტეორიტულ რკინაზე, არამედ რკინაზე, რომელიც ადამიანის მიერ მდინიდან გამოღობის წესით უნდა იყოს მიღებული, მაგრამ დასაბუთებული არ არის. იშლება ხეთების იმპერია (სხვადასხვა ხალხთა სინთეზით შექმნილი) ძვ. წ. აღ. დაახლოებით XII საუკუნეში იქ რჩება ადგილობრივი ხალხი — ხალიბები.

გესმით, რაშია საქმე? როგორც არსებობს გამოთქმა „ყველა გზა რომში მიდის“, ისე, როდესაც საუბარია რკინის წარმოებაზე, ყველა გზას ხალიბებთან, ქართველების წინაპრებთან მივყავართ და მათი მემკვიდრეობა, რკინის სადნობი ქურა-სახელოსნობები, ჩვენ გადავარჩინეთ და ვიცავთ.

ისრაელიდან ბიზნესმენები და მეცნიერები იყვნენ ჩამოსულები, დახურული ხეობების საიდუმლო ქურა-საწარმოების რუკა რომ ვანახეთ, სიტყვა-სიტყვით ასე თქვას: მეცნიერი კი არა, ბავშვაც მიხვდება, რომ ეს ადგილები კარ-



ქურა - სახელოსნო

თავის სარდლებს აფრთხილებს: ქალაქს რომ აიღებთ, ოქროს, ვერცხლისა და რკინის ჭურჭელი გადაინახეთ საღვთო სახლისთვისო.

ასეთი არგუმენტები მსოფლიოს ყველა უძველეს ხალხებზე მაქვს წარმოდგენილი, სადაც, თუ ყურადღებით გაეცნობით, თავად ისინი გადმოგვცემენ, რომ მათ აღნიშნული დროისათვის რკინის წარმოება არ ჰქონდათ.

რკინის სამშობლოდ მსოფლიოში ჯერ არც ერთ ქვეყანას არ გამოუცხადებია თავი და ვერც გამოაცხადებდა, რადგან ამის თქმის საფუძველი არ აქვთ. რკინა ჩვენია და ეს განაცხადი უნდა გააკეთოს საქართველომ. ამას რატომ ვერ აკეთებს, რა პრობლემაც იქმნება, ერთ-ერთი საგულისხმო მიზეზი უკვე დავასახელებთ.

ხშირად, როდესაც რკინის პირველწარმოებაზე საუბარი, საქართველოს (უძველეს კოლხეთს ვგულისხმობ) გვერდის ავლით საუბრობენ ხეთებზე, რადგან კაცობრიობის ისტორიაში რკინა პირველად ჩნდება ძვ. წ. აღ. XVII-XVI საუკუნეებში, ხეთების იმპერიაში. ადამიანი რკინას

გად გააზრებული პრინციპით იყო გასაიდუმლოებული.

ჩვენი მთავარი მიზანია, მსოფლიოს ხალხთა ატლასში, სადაც საქართველო ამჟამად წარმოდგენილია მხოლოდ „ღვინისა და რუსთაველის სამშობლოდ“, აღიარებული იქნას „რკინის სამშობლოდ“. არ უნდა დაიკარგოს ქართველი ერის წინაპართა უდიდესი როლი საკაცობრიო ცივილიზაციის განვითარებაში. ის არ კმარა, რომ ისედაც საშინლად არის გაყალბებული საქართველოს ისტორია?!

ჩაისოვნის უძველესი კოლხური რკინის სადნობი სახელოსნო წარდგენილია იუნესკოში მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მისაღებად, ერთი წლის განმავლობაში სამი წერილი შევიდა კულტურის სამინისტროში, მაგრამ, რატომღაც, პასუხი არცერთ წერილზე არ მიგვიღია...

დიდი მადლობა „საერთო გაზეთს“, რომ დაინტერესდით უძველესი კოლხეთის დეაწლით მსოფლიო ცივილიზაციის განვითარებაში.

აიაა ჭაქლიძე

სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით თანხის გასესხება ევროპაში გასრულდა ისჯება

საქართველოს კანონმდებლობა მეგანშობას, როგორც იურიდიული ინსტიტუტს, არ ცნობს, მაგრამ, სამაგიეროდ, გვეყვას მისი „წყალობით“ ერთადერთი საცხოვრისიდან გამოძევებული ოჯახები. კეკელიძის ქუჩაზე აღსრულების პოლიციის მიერ კანონის ჩარჩოებიდან გასულმა გამოსახლებამ სრულად საქართველო აღაშფოთა. სპეცილურმა საგამომიებო უწყებამ, რომელიც სახელმწიფო მოხელეთა დანაშაულებრივ საქმიანობას იძიებს, მოკვლევა უკვე დაიწყო.

პოლიტიკოსებმა და საპატრიარქოშიც დაგმეს აღსრულების კანონის ასეთი ფორმა და პარლამენტს კანონის გადახედვისაკენ მოუწოდეს. სტატისტიკური ინფორმაციით, კანონის სახელით ბინიდან გამოსახლება ათასზე მეტ ოჯახს ელის.

საქართველოს პარლამენტმა უკვე გააკეთა კიდევ განცხადება, რომ გამოსახლების კანონს დაუბრუნდება, მაგრამ ამასობაში, ოპოზიციის მხრიდან არ წყდება დავა-კამათი იმის შესახებ, თუ ვის უფრო მეტად უყვარს ადამიანები, თუმცა

ავიწყდებათ, რომ გამოსახლების პრობლემა საქართველოში დიდი ხანია, კანონმდებლობის თავსატეხია.

ვენახოთ, სამართლებრივად რა შეიცვლება, თუმცა „საერთო გაზეთმა“ გამოსახლების ანატომიას, მის საკანონმდებლო ანალიზს არაერთი წერილი მიუძღვნა და ითქვა, რომ მთავარი კანონის რეგულაცია და არა მისი აღსრულების ფორმაა.

აღსრულების ფორმა ევროპის ქვეყნებშიც მკაცრია, საინფორმაციო საშუალებებით უცხო ქვეყნებში სამართალდამცვთა მხრიდან ძალის გადამტეხების არაერთი ისეთი ფაქტიც გვინახავს, ქართულ სინამდვილეში რომ არ ყოფილა. გერმანიაში ყოფნის დროს პირადად ვნახე ევროპული დეპორტაციის ფაქტები, როდესაც ძალის გამოყენებით მიწაზე პირქვედადგებულ პირებს პოლიცია ზოგჯერ საათობით მიწიდან თავის აწევის საშუალებას არ აძლევს. ამის მოწმე არაერთი ჩვენი ემიგრანტია. ისინი სოციალური ქსელით ისეთ დაუჯერებელ ამბებსაც გვიყვებიან, კეკელიძის

ქუჩაზე მომხდარი ფაქტის ფონზე რომ „შეგეშურდებოდა“. ჩვენ არ ვამართლებთ აღსრულების არაადამიანურ ფორმებს, მაგრამ არც იმის თქმა გვინდა, რომ კანონის აღსრულება არასოდეს ყოფილა უმტკივნეულო.

სტატიაში „გამოსახლების ანატომია“ ისიც ვთქვი, რომ ქართულ ბაზარზე სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ინსტიტუტი უნდა დაბრუნდეს და რომ ხშირად, კანონის არარსებობის გამო, ეკონომიკურად გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მსესხებელი ვალის დაბრუნებამდე იძულებულია, იპოთეკის ხელშეკრულების ნაცვლად, გამსესხებელს პირდაპირ გადაუფორმოს ერთადერთი საცხოვრებელი.

როგორია ევროპის სასამართლოს მიდგომა და მკაცრად ისჯება თუ არა, მათ შორის, პატიმრობით, ევრეთ წოდებული მეგანშობა, თანხის გასესხების ისეთი ფორმა, როდესაც გამსესხებელი მიზანმიმართულად, სხვისი ქონების ხელში ჩაგდების მიზნით იყენებს სხვის უმწყო ეკონომიკურ მდგომარეობას?



აპსტრიბი

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მიხედვით, რომელიც ფულის გასესხების საკითხს არეგულირებს, ნებისმიერი პირი, ვინც სხვა პირის მატერიალურ გაჭირვებას, უყურადღებობას, გამოუცდლობას ან გონებრივი განსჯის უნარის ნაკლებობას იყენებს და ფულადი თანხის საჭიროების შემთხვევაში უწევს მომსახურებას, კონკრეტულად, სესხის მიცემის ან დაპირების, ან სესხის გადახდის მოთხოვნის გაუქმების ან დაპირების, ან ფინანსური უპირატესობის მინიჭების გზით, თავისთვის ან მესამე მხარისთვის ისეთი მოგების მიღების მიზნით, რომელიც აშკარად შესრულებული ვალდებულების დისპროპორციულია, ისჯება 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

გერმანია

გერმანიის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 291-ე მუხლის მიხედვით, რომელიც თანხის გასესხების პროცედურებს არეგულირებს, ვინც იყენებს სხვა პირის მიმართ მდგომარეობას, გამოცდილების, გონივრული განსჯის უნარის ან ნებისყოფის ნაკლებობას საკუთარი თავის ან მესამე პირისთვის მატერიალური შეღავათების დაპირების ან მიღების მიზნით: 1.

საცხოვრებელი სივრცის გაქირავებისას ან ამასთან დაკავშირებული დამატებითი სერვისების მიღებისას; 2. კრედიტის გაცემისას; 3. სხვა ნებისმიერი სარგებლისთვის, ან 4. ზემოთ ჩამოთვლილი რომელიმე სერვისის მიღებისას და ამგვარად მიღებული სარგებელი აშკარად დისპროპორციულია ვალდებულებასთან შედარებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით 3 წლამდე ვადით ან ჯარიმით. განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში, ანუ, თუ დამნაშავეს მოქმედება მეორე მხარეს მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აგდებს, ან თუ ეს ქმედებები ჩადენილია პროფესიული საქმიანობის სახით ან საშუალებას აძლევს დამნაშავეს, ვექსილის მეშვეობით მიიღოს მეგანშობის მატერიალური მოგების დაპირება, ისჯება 6 თვიდან 10 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ჩეხეთი

ჩეხეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 218-ე მუხლით, რომელიც ე. წ. მეგანშობას არეგულირებს, ნებისმიერი პირი, რომელიც სხვა პირის გონებრივი განსჯის უნარის ნაკლებობის, მატერიალური გაჭირვების, გამოუცდლობის, უყურადღებობის ან დაბნეულობის ზარჯზე იღებს ისეთი ვალდებულებების შესრულების დაპირებას, რომლის ღირებულებაც აშკარად აღემატება ორმხრივი ვალდებულებების ღირებულებას, ან ნებისმიერი პირი, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ასეთი ვალის მოვალისგან ამოღებას, ისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით.

შვედეთი

შვედეთის ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ, სისხლის

სამართლის კოდექსის მე-9 თავის მე-5 მუხლის შესაბამისად, პირი, რომელიც ხელშეკრულებასთან ან სხვა სახის სამართლებრივ გარიგებასთან კავშირში იყენებს სხვა პირის მიმართ მატერიალურ მდგომარეობას, უცოდინრობას ან გონებრივი განსჯის უნარის ნაკლებობას, ან მასზე დამოკიდებულ მდგომარეობას, ისეთი მოგების მიღების მიზნით, რომელიც აშკარად დისპროპორციულია დასაშვები ანაზღაურების ოდენობასთან მიმართებით, ან არ ექვემდებარება ანაზღაურებას, ისჯება მეგანშობისთვის ჯარიმით, ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

ლატვია

სისხლის სამართლის კოდექსის 201-ე მუხლი, რომელიც მეგანშობას არეგულირებს, განმარტავს, რომ პირი, რომელიც გასცემს ნებისმიერი სახის სესხს, შეგნებულად სარგებლობს რა მსესხებლის მიმართ ეკონომიკური სიტუაციით და მსესხებელს უწევს ისეთ ვადებსა და პირობებს, რომლებიც მეტისმეტად მძიმეა მისთვის, ისჯება დროებით თავისუფლების აღკვეთით, ან ჯარიმით.

იმედია, საქართველოს პარლამენტი გაითვალისწინებს ევროპის ქვეყნების სამართლებრივ გამოცდილებას და ადამიანთა ბედს მხოლოდ სახელშეკრულებო სამოქალაქო სამართლის იმედად არ დატოვებს.

როდესაც მსესხებელი გამსესხებელს ვალის დაბრუნებას სთავაზობს და სანაცვლოდ ქონების დაბრუნებაზე უარს ეუბნება, ეს, რა თქმა უნდა, დანაშაულია და სრულად ვეთანხმები ევროპულ სამართალს, აქ სხვისი უმწყო მდგომარეობის გამოყენების ფაქტი აშკარაა. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს ხანში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც შევა ცვლილება, კერძოდ, თანხის გასესხების მიზნით სხვისი უმწყო მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ქონების უკანონოდ ხელში ჩაგდება დასჯადი გახდება და ნამდვილი ევროპული სამართალიც დამკვიდრდება.

ლევან ჭილაძე



„საერთო გაზეთი“ მხარდასაჭერი ფონდი № 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. № GE19BG000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: **გვანცა ხარჩილაძე**
რედაქტორი და გამომცემელი: **თამარ ბარჩინიშვილი**
სარედაქციო კოლაჟი:
თამარ შველიძე, ვია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშიაძე, ლევან ჭილაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველეხიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გაფორმების მენეჯერი) 599 58 72 50.

მის.: თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; შპს (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოცემა შეზღუდულია შპს „ელგა-ჯი“-ს მფლობელით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის ზონიში არ ეთანხმებოდეს რედაქციის ავტორს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასული წლის განმავლობაში გასულია მთელი რაოდენობის მასალები, რომლებიც ავტორის მიერ არ არის დაბეჭდილი.

© ამ წიგნით აღნიშნული საჩუქარი გასულია.
იზაბელა შპს „საქავალ-დასავალი“ სტამბაში. აბლაქის 39. ტელ.: 234-39-99

<http://www.saertomedia.com>